

170
1973

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ს ა მ გ ე ჯ ზ ა ნ 5
1973



პირველი მაისი

ღიზრი გიგოლაშვილი. თბილისის №5 საშუალო სკოლა 11 კლასი.

ს ე მ ე ი ს ი

იოსებ ნონაშვილი.

მოხვედი და მთა-ბარი
ვარდ-ყვავილით აივსო.
ვაშა შენს მობრძანებას,
საყვარელო მაისო.

სამაისო დროშებით,
ცის ლაქვარდებს ვეხებით.
მოგვიძღვიან გუნდ-გუნდად
ფრთახატულა მერცხლები.

კილით-კიდე გუგუნებს,
კილით-კიდე მიღელავს
ხალხთა ძმობის, სიცოცხლის
და მშვიდობის სიმღერა.

მაისია. ვუსმინოთ
მთების აგუგუნებას.
მაისია. აყვავდა,
გაიღვიძა ბუნებამ.

ზაალ გაბაღა

მხატვარი
თენგიზ სამსონაძე

ფანტასტიკური მოთხრობა*

თავი მეხუთე

ოთარის ვარაუდი გამართლდა — ყველა მოტაცებუ-
ლი მეცნიერი ხომალდში იყო და ახლა იმაზე ფიქრობ-
დნენ, როდის დაეწყოს მოქმედება. ოთარი ცდილობდა
დაახლოებოდა ეკიპაჟის წევრებს. ეს დაახლოება კი ული-
აიმ უოლსენის ავადმყოფობამ დააჩქარა. იმ დღეს ოთარი
ჰოსპიტალურ ნაკვეთურში შევიდა. ექიმს უკვე დაემთავ-
რებინა მეცნიერის გასინჯვა.

— როგორ გრძნობთ თავს, ბატონო უოლსენ?
— ცუდად, მისტერ ოთარ. თუ რაიმე არ ვიღონეთ,
ეს ბანდიტები თავიანთ მიზანს მიაღწევენ! — დაუფარა-
ვად თქვა მეცნიერმა.

— ბოდიშს ვიხდი, სერ, მაგრამ მინტერესებს: რა-
ტომ მიგყავთ შეიარაღებული ხალხი დაუსახლებელ პლა-
ნეტაზე? — იკითხა მაგურამა.

— პირიქით, ბატონო ექიმო, ამ ავაზაკებს მივყავართ,
რომ იქ იარაღის მუქარით გვამუშაონ. ჩვენ — შვიდი კა-
ცი — მოტაცებული მეცნიერები ვართ, — უთხრა
ოთარმა.

— მოტაცებული?! — გაუკვირდა ექიმს.
— რატომ გიკვირთ, თქვენ ხომ ეკიპაჟის წევრი ხართ?
— დიახ, სერ, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცო-
დით. ჩვენ მხოლოდ ფულს მივყავართ იქ...



მარჯოსის მკვიდრნი

— ჰო, თქვენთვის ფული ყველაფერია, — გაბრაზდა
ოთარი, — მილიონობით ადამიანის სიცოცხლე კი არა-
ფერს ნიშნავს. თქვენ დიდ გასამრჯელოს გაძლევენ, მაგ-
რამ არ ფიქრობთ, რისთვის!

— ბოდიშს ვიხდი,
სერ! — თქვა მაგურამა
და კაიუტიდან გავი-
და...

წამყვან ნაკვეთურში
აღელვებული ჩარლზ
მაგურაი შევიდა. ჩუ-
მად ჩაეშვა სავარძელ-
ში და შუბლი მოის-
რისა.

— რა იყო, ჩარლზ,
შენი პაციენტი ცუდად
ხომ არ არის? — ჰკი-
თხა სამართავ პულტ-
თან მჭლომმა კაპიტან-
მა.

— თურმე მოტაცებული მეცნიერები მიგყავს ან-
ტარესზე!

— მოტაცებული?! — ჯეკ სორდს თვალები გაუფარ-
თოვდა.

— ეს ბანდიტებიც, ალბათ, იმიტომ მიჰყავთ, რომ მა-
თი დახმარებით იძულებით ამუშაონ! — თქვა ეკაბსმა.

— საინტერესოა, ასეთ შორეულ პლანეტაზე რატომ
მიჰყავთ? — იკითხა ჯეკმა.

— როგორც მოხუცმა მეცნიერმა მითხრა, დოქტორ
ლოუსის ბანდიტებს ის მოუტაციათ, როცა უარი უთქ-
ვამს მათთან თანამშრომლობაზე. მათ უნდათ იქ ხელოვ-
ნურად შექმნან ცხოვრების პირობები და მერე დედამი-
წის მოსახლეობა მოსპონ. — განმარტა მაგურამა.

— ჩვენს ბორტზეა „სიცოცხლის მანქანის“ შემქმნე-
ლი მეცნიერი, ჯო!

— ხომ არ გადაირიე, ჩარლზ! ისიც მოტაცებულია? —
ჯონ სტოუნის შტურმანის სავარძლიდან წამოდგა და მა-
გურას ისე შეხედა, თითქოს უნდა გაიგოს, მართლა ხომ
არ შეიშალაო.

— დიახ, ჯო, ეს ასეა! ჩემი პაციენტი კი მსოფლიოში
სახელგანთქმული მეცნიერი უოლსენი გახლავთ.

ხომალდი სამყაროს მარადიულ სიჩუმესა და უსას-
რულობაში თითქოს უძრავად ეკიდა.

— არა, ამის მოთმენა შეუძლებელია! — სიჩუმე და-

12.178



კამეჩა

5

მაისი
1975


საქართველოს ალკა ცენიარალი
სოხიბის და ვ. ი. ლენინის სახელობის
ნორა კიონიატა ორბელიანის
რესპუბლიკური სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბავშვო ჟურნალი

გამომდის 1926 წლიდან

საქ. კვ. მ.-ის
გამომცემლობა

* დასასრული იხ.
„პიონერი“ № 4.

კ. მარქსის სს. სს. სსრ
სახალმწიფო რ. სპობილი



არღვია კაპიტანმა. — მე კოსმონავტი ვარ და არა მეკობრე... — მან ნაკვეთურის კარის სახელურს წაავლო ხელი.

— მოითმინე, ჯო! — უთხრა მაგუარმა. — ჩვენ საქმე გვაქვს თავზეხელაღებულ ორმოცდაათობმეტ კაცთან. კაპიტანი მოტრიალდა და ხომალდის მარჯვენა მხარის მიწიდიულობა გამოართო. ხომალდის სატრანსლაციო დინამიკში გაისმა მისი ხმა:

— მისტერ სტრობს, ხელოვნური მიწიდიულობის ძრავები დაზიანდა. არ ვიცით რამდენი დრო დასჭირდება შეკეთებას!

— უოჩაღ, ჯო, დაე იფრინონ არაქათის გამოცლამდე. მერე კი შედარებით ადვილად დავიმორჩილებთ.

გავიდა რამდენიმე საათი და დინამიკში ახრიალდა დოქტორი სტრობსი:

— დალახვროს ეშმაკმა, ბოლოს და ბოლოს ხომ არ გინდათ ამოგვხოცოთ!

— სერ, ეკიპაჟს თქვენზე უარეს დღეში უხდება ყოფნა და მუშაობა.

მეთუე საათზე შეწყვიტა სტრობსმა ლაპარაკი.

— დაიხოცენ თუ რა დაემართათ, ჩარლზ? — იკითხა ჯეკ სორდმა.

— ნუ დარდობ, ჯეკ, ეშმაკის ადგილი ჯოჯოხეთია! — შენიშნა ეკაბსმა.

კიდევ ორი საათი გავიდა. ჯონ სტოუნმა ხელოვნური მიწიდიულობა ჩართო და თქვა:

— შტურვალთან დარჩები, ეკ. ჩვენ კი მათთან გვექნება საქმე!

ეკაბსმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კაპიტანმა შეაწყვეტინა:

— ჩემი ბრძანება უცვლელია!

ნაკვეთურიდან პირველი ჯონ სტოუნი გავიდა. ბოლოს კი ჯეკ სორდი. საჭესთან დატოვებული შტურმანი ტუჩებს იკვნიტდა. ბოლოს ველარ მოითმინა, ხომალდი ავტომატურ მართვაზე გადაიყვანა, კურსი ერთხელ კიდევ შეამოწმა, ჯიბეში სხივური პისტოლეტი ჩაიღო და ნაკვეთურიდან გავიდა. სწორედ ამ დროს სხივური ავტომატებით დატვირთული ჯეკ სორდი შეეფეთა.

— უკვე?!

— ხელი არ გაუნძრევიათ, მთვრალი ჭუკებივით ეყარნენ. ეს ოხრობა სად ჯანდაბაში წავიღო, ეკ?

— შიდა კაიუტაში ჩაკვეტოთ!

ნაკვეთურში ახლა მაგუარმა შემოათრია სხივური პისტოლეტები და ხელყუმბარები.

ასე განაიარაღა ეკიპაჟმა სტრობსი და მისი ბანდა.

ოთარი ილუმინატორთან იდგა და უსასრულო სივრცეს გასცქეროდა. ფიქრებით მშობლიურ ქალაქში იყო. რამდენი რამ ჰქონდა გასაკეთებელი. ოთხი თვე გავიდა, რაც სამშობლოს მოსწყდა და მტკიცეულად განიცდიდა დაკარგულ დროს. უცებ მისი ყურადღება გასაღების ჩხაკუნმა მიიპყრო. კარი გაიღო და ჯონ სტოუნის გოლიათურმა ფიგურამ შემოაბიჯა.

— გამარჯობათ, სერ, მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა!

„ამ გიგანტ ყაჩაღს რა უნდა“, — გაიფიქრა ოთარმა. მაგრამ ღიმილით ჰკითხა, — კიდევ რას გვიბრძანებთ, სერ?

ამ დროს კაიუტაში ჩარლზ მაგუარის კეთილი სახე გამოჩნდა.

— მომილოცავს, სერ, განთავისუფლება! სტრობსი და მისი ბანდა დავაპატიმრეთ. ეს კი კაპიტანი ჯონ სტოუნის გახლავთ.

— თქვენ ახლა, ალბათ, სხვა პლანეტაზე წახვალთ და თქვენთვის შექმნით ახალ სამყაროს მსოფლიო ბატონობისთვის! — ირონიულად გაუღიმა ოთარმა კაპიტანს.

— არა, სერ, ჩვენ კოსმონავტები ვართ და არა ყაჩაღები. არაფერი ვიცოდით და, როცა გავიგეთ, კიდევ დავაპატიმრეთ სტრობსი და მისი ბანდა. ჩვენ ფულზე არ ვყილით ადამიანებს. ახლა საითაც გვიბრძანებთ, იქითკენ წავალთ, სერ!

ოთარმა გაცვებით შეხედა გიგანტს და ნაცნობ ექიმს. არ მოელოდა საქმის ასე იოლად და კარგად დაბოლოებას. მოზღვავებული სიხარულისაგან ენა დაება, ძლივს წარმოთქვა:

— გმადლობთ, ბატონებო!

— ჩვენ ადამიანისა და კოსმონავტის ღირსება დავიცავით, სერ! — ამ სიტყვებთან ერთად კაპიტანმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

ჯონ სტოუნის და ოთარი სწრაფად დამეგობრდნენ. იმ დღეს ოთარი და კაპიტანი ილუმინატორთან იდგნენ. ოთარი ჯონ სტოუნს უამბობდა საქართველოზე, მის ხალხზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, არქიტექტურაზე, ისტორიაზე.

— სამწუხაროა, რომ ასეთ ქვეყანაში არ ვყოფილვარ!

— როცა დედამიწაზე დავბრუნდებით, უმჯობესად წავიყვანთ ჩემს სამშობლოში — საქართველოში.

უცებ, შორს, სივრცეში, შავი ხაზი გამოჩნდა. კაპიტანი მისჩერებოდა სივრცეს, სადაც შავი ხაზი დიდი სიჩქარით მიემართებოდა ხომალდის პარალელურად. მისი კული თანდათან დიდდებოდა და სქელდებოდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ეს რააა?! — წამოიძახა კაპიტანმა. — მაპატიეთ, სერ, უნდა დაგტოვოთ! — თქვა და სწრაფად წავიდა წამყვან ნაკვეთურისაკენ. შავი ხაზი თანდათან იზრდებოდა და ახლა მისი არც თავი ჩანდა, არც ბოლო. ცას თითქოს შავი ფარდა ჩამოეფარა და მზისნავი ანარეკლი ხომალდს მოეფინა. ოთარი წამყვან ნაკვეთურისკენ გაემართა. დერფანში ჯეკ სორდმა ჩაურბინა. წამყვანი ნაკვეთურიდან საოცარი სურათი იშლებოდა: უკიდევანო სივრცე შავ მორევს წაელეკა, ხოლო შავი თავი ხომალდის გზის მოსაჭრელად მოემართებოდა. ეკაბსი და მაგუარი სკაფანდრებს იცვამდნენ, სკაფანდრიანი კაპიტანი კი უკვე შტურვალს უჭდა.

— მისტერ ოთარ, გთხოვთ ეს სკაფანდრი ჯეკს წაუღოთ! — თქვა კაპიტანმა და მიკროფონში ჩასძახა: — ჯეკ, ვრთავ ორივე სამარშო ძრავებს, ვზრდი სიჩქარეს! ოთარი მიხვდა, საქმე სერიოზულად იყო. „ნებტუნი“ ისე ზანზარებდა, გეგონებოდათ, სადაცაა ნაწილებად დაიშლებოდა.

— კურსი ხომ არ შევცვალეთ, ჯო! — ეკაბსი კურსს დასცქეროდა.

— უკვე გვიანაა. შავი კოსმოსური გრიგალების ზონაში ვართ. საჭიროა დინებას მივყვეთ და მერე ვუგანოთ!

ხომალდს უკვე შავი ნიაღვრები შეეჩახნენ. პირველმა ტალღამ ხომალდი თითქმის ააყირავა, მერე მორევმა დაატრიალა და შავ უფსკრულში შთანთქა. იქ არ იყო არც ზევით და არც ქვევით. შავ მორევს ყველაფერი ერთიანად წაელეკა.

— მარჯვენა ძრავაში შეფერხებაა, ჯონ, საჭიროა მარცხენა ჩართოთ! — გაისმა ჯეკ სორდის აღელვებული ხმა.

— ეშმაკმა დალახვროს! — ჩაილაპარაკა კაპიტანმა და ძრავა ჩართო. „გაუძლებს კი ხომალდი?“ ეკაბსს გადაფითრებულ სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა.

ხომალდი სწრაფად ირყეოდა და ხურდებოდა.

— ეკ, ჩართე კორპუსის გასაცვივებელი სათადარიგო რადიატორები!

— უწესივრობა აღმოფხვრილია. ჯო! — მოახსენა ჯეკ სორდომ.

ეკაბსი ხმას არ იღებდა, ეტყობა, ძალიან უტირდა. ჯონ სტოუნს სული ესუთებოდა, მაგრამ უძლებდა ძალღონის ზღვარული დაძაბვით. მის მახვილ თვალს არ გამოპარვია, რომ შავი ნიაღვარი აქა-იქ გაფერმკროდალდა. მეოთხე საათი იწურებოდა, რაც ხომალდი წყვედადში მიფრინავდა. რყევა ოდნავ შემცირდა. კაპიტანმა ერთბაშად მიიღო გადაწყვეტილება, ჩაერთო ყველა სათადარიგო და ძირითადი ძრავა. კაპიტანი წამშოშომს დასცქეროდა — მას უფლება ჰქონდა მხოლოდ ხუთი წუთით ჩაერთო ყველა ძრავა. თუმცა ესეც დიდი რისკი იყო. ხუთი წუთის შემდეგ ხომალდი ნაწილებად დაიშლებოდა და ისინი კოსმოსურ მტვრად იქცეოდნენ. მესამე წუთი მიიწურა, როცა სინათლე გამოჩნდა. ჯონმა ძრავები გამოართო, ხომალდი ინერციით მისრიალებდა დღის სინათლეზე.

— ეკ, გადავჩრით! — კაპიტანმა შტურმანს გადახედდა. სკაფანდრის ქვეშ ეკაბსის სახე სისხლისგან დაცლილს ჰგავდა. ნაკვეთურში მაგუარი და ჯეკი შემოილასლასდნენ.

კაპიტანმა უცებ პლანეტას მოჰკრა თვალი, ხომალდი ავტომატურ მართვაზე გადაიყვანა და ინფორმაციას შეეხედა. მისი ვარაუდით ხომალდი 2 ზონაში 18 და 49-ს შორის მიფრინავდა. ამ ზონაში არავითარი პლანეტა არ იყო ნაჩვენები.

— რა პლანეტაა, რომელ ზონაში ვართ? — ხმაოდლა იკითხა კაპიტანმა და სკაფანდრი მოიხადა. ეკაბსი და მაგუარი ინფორმაციას დასცქეროდნენ.

— ვერაფერი გამოგია, ჯო. აქ პლანეტა არაა აღნიშნული. — უპასუხა ეკაბსმა.

— უნდა დავეშვათ! — თქვა კაპიტანმა.

— მეც ასე ვფიქრობ! — დაეთანხმა შტურმანი.

კაპიტანმა ძირითადი ძრავები ჩართო და ხომალდი პლანეტის მიზიდულობის ორბიტაში შეიყვანა. ხომალდმა ორბიტას უკანასკნელად შემოუარა და მისი კომპეტის მსგავსი ცეცხლოვანი კული გამოჩნდა. მერე მალლა აიწია და დასაჯდომად წავიდა. ხომალდის შავმონაცისფრო სილუეტი უახლოვდებოდა მიწის ზედაპირს: მტვერი ჰაერში აისვეტა. გრუხუნნი თანდათან მიწყდა. ალი ჩაქრა და ხომალდის დასაჯდომი ფეხები ტკაცანით შეიჭრნენ დამსკდარ მიწაში. ხომალდი ადგილზე გაქვავდა...

საოცარი სიჩუმე დასადგურდა. ჯონ სტოუნმა სკაფანდრი მოიხსნა, ოფლიანი სახე მოიწმინდა და მერე ვისკის ბოთლს გადასწვდა. ცოტა მოსვა და შვებით ამოისუნთქა...

თავი მეექვსე

ყველა კაიუტ-კომპანიაში შეიკრიბა. ერთმანეთს გადარჩენა მიულოცეს.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, მისტერ ჯონ, რა პლანეტაა ეს? — უოლსენმა ილუმინატორს მხერა მოაშორა და კაპიტანს შეხედა.

— წარმოდგენა არა მაქვს, სერ! ეს პლანეტა არც ერთ კოსმოსურ რუკაში აღნიშნული არ არის. იგი საოცრად ჰგავს დედამიწას. რადგან ჩვენს სისტემაში დედამიწის მსგავსი მეორე პლანეტა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. უნდა ვივარაუდოთ: ან მზის სისტემის ახალი პლანეტა აღმოვაჩინეთ, ან მზის სისტემის გარეთ ვიმყოფებით.


— წარმოუდგენელია, სერ!

— მაგრამ ფაქტია, სერ! შავი გრიგალი ხომ ხუთი საათის განმავლობაში მიგვაქანებდა თავის ნებაზე. ჩემის აზრით, გრიგალის სიჩქარე 100 კილომეტრი იყო წამში. და თუ ეს ასე იყო, მაშინ საკმაოდ დიდი სხვაობით ავცილით კურსს.

ერთხანს ხმა არავის ამოუღია. მერე სიჩუმე კაპიტანმა დაარღვია:

— ჩენტლმენებო, საქირთა ხომალდიდან გასვლა. პირველად გავა ორი კაცი. ისინი ნახევარ საათს დაჰყოფენ გარეთ. შემდეგ — მეორე ჯგუფი. ერთი მე ვიქნები, მეორე?

— მეგობრებო, მოითმინეთ! — უოლსენი ფეხზე წამოდგა. — გული რომ არავის დასწყუდეს, კენჭი ვყაროთ. კენჭის ურაში კი ორი კაცი არ მიიღებს მონაწილეობას! — ჯონ სტოუნი და ოთარ კობიძე.



— ჩვენი აცილება არასწორად მიმაჩნია, სერ! — ოთარი წამოწითლდა.

— ამ ხომალდში ორი შეუცვლელი ადამიანია და ყველამ ვიცით, ვინ არიან ისინი! — თქვა უოლსენმა.

კენჭის ყრის შედეგად პირველი გასვლა წილად ხვდათ ჭკვ სორდისა და ჰასდენ ჯიბს.

პირველი ჭკვ სორდი გამოძვრა. საკაფანდრშიც კარგად ჩანდა მისი ნათელი სახე. ოთარმა ილუმინატორიდან ხელი დაუქნია. ჭკვმა გაუღიმა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, დაიხარა, მიწა ხელში აიღო, მოსრისა და სახესთან მიიტანა. ჯონ სტოუნს გაეცინა და ოთარს შეხედა.

— უნდოდა დაეყნოსა.

— მეგობრებო, ნამდვილი მიწაა. — გაისმა ჭკვ სორდის ხმა. — მიწილეულობის ძალა უტოლდება დედამიწისას, ტემპერატურა +27°-ია. შორს მოჩანს მაღალი ბალახით დაფარული მთები. მთის კალთებს ქვემოთ კი იწყება ფოთლოვანი ტყეები. ტყის ბოლოს, მარცხნივ, ვეღია, მერე უზარმაზარი ტბა თუ ზღვა... მზე აღმოსავლეთიდან ანათებს. ერთი სიტყვით, დედამიწის ბუნებას მაგონებს.

— მეგობრებო, დროა ხომალდში დაბრუნდეთ! — კაპიტანმა საათს შეხედა.

ჭერ ჭკვ სორდი ამოძვრა, სკაფანდრი მოიხადა, კუთხეში მიდო და მხიარულად გაიღიმა. მას ჰასდენ ჯიბის მოპყვა.

— ღმერთს გეფიცებით, ჩვენ დედამიწაზე ვართ. იქნებ კურსი შეგვეშალა, ჯო? — ჭკვი და ჯიბის იზოლატორში შევიდნენ.

— არა ჭკვ, ეს დედამიწა არაა. — თქვა კაპიტანმა.

გავიდა რამდენიმე საათი. კაიუტკომპანიაში მისულ მაგუარს დაფიქრებული სახე ჰქონდა.

— ჭკვ სორდი ცუდად არის, — მაგუარმა შუბლი მოიხრისა და სავარძელში ჩაეშვა.

— დიაგნოზი, სერ? — იკითხა ფრედ უოლსენმა.

— ზუსტად არ ვიცი. ისე კი აქვს თავის ყრუ ტივილი, სწრაფად მზარდი სიციხე, ძლიერი შეტევები ზურგსა და ძარღვებში. ეს პირველი სტადიაა. დარწმუნებული ვარ, მიწიერი ავადმყოფობა არ არის. მარტო იმიტომაც, რომ ახასიათებს უცნაური ინკუბაციური პერიოდი და ელვისებური განვითარება. ჩემი აზრით, ჭკვს და ჰასდენს ეს ავადმყოფობა ხომალდის გარეთ შეეყარათ. წარმოდგენა არა მაქვს, რამდენად საშიშია იგი. ახლა ერთი

იმედი მაქვს, ავადმყოფობა მანამდის განვითარდეს, რომ ტრიოპლექსინს გავუკეთებდი. ეს წამალი ღრემდე დედამიწაზე არსებული ყველა ანტიბიოტიკა შორის საუკეთესოა, ჩვენს მიწაზე ცნობილ ყველა მიკრობს სპობს. საჭიროა ეს წამალი სასწრაფოდ გაუკეთდეს ყველას. ამასთანავე ვინც ოდნავ ტივილს იგრძნობს კეფის ან შუბლის არეში, მაშინვე განაცხადოს...

ორი საათის შემდეგ მაგუარი ისევ შემოვიდა კაიუტკომპანიაში. ძალზე დაღლილი სახე ჰქონდა.

— დაიწყო ავადმყოფობის მეორე სტადია: მაღალი ტემპერატურა, ბოდვა, მთელი ორგანიზმის ფუნქციის მოშლა, ნერვული აშლა... ორგანიზმში საჭიროა ხელოვნური საკვების შეყვანა...

...კაიუტის მძიმე კარი გაიღო და ეკაბს სტივენსონი შემოვიდა. შტურმანი სამანქანო ნაკვეთურიდან მოდიოდა — საპოხი ზეთით დასვრილ ხელში ავტომატური ქანჩსაღები ეჭირა.

— ორი მარჯვენა სამარშო ძრავა მწყობრიდან გამოსულა. მარცხენა ძირითადი ძრავა და მიკროძრავები კი შესაკეთებელია. მოშლილია შიდა კონტაქტები. გამომვლელი მანქანის მონაცემით შეკეთებას თვრამეტი საათი დასჭირდება.

„ათი საათიც და არავინ ცოცხალი არ ვიქნებით“, — გაიფიქრა მაგუარმა.

— ხომ არ აჯობებდა სასწრაფოდ შეგვეკეთებინა ხომალდი და თავი დაგვეღწია აქედან? — იკითხა ალბერტო ნერვიმ.

— არავითარ შემთხვევაში, სერ! — მაგუარი წამოდგა. — სანამ არ დავადგენთ ავადმყოფობის მიზეზს და სახეს, მანამდის აქედან ფეხს ვერ მოვიცვლით. ხომ შეიძლება დედამიწაზე რაღაც საშინელი მიკრობი ჩავიყვანოთ...

— რა იყო, ეკ?! — კაპიტანი შტურმანს მიაშტერდა. იგი შუბლს ისრესდა.

— შეიძლება ეს არაფერს ნიშნავს. მაგრამ მაინც მეშინია — ასეთნაირად არასოდეს მტკიცესა... კი. — დამნაშავესავით თქვა მან.

ერთმანეთს გადახედეს. მაგუარმა ჯიბიდან თერმომეტრი ამოიღო და ეკაბს პირში ჩაუღო.

„მაინც რა წყუელ პლანეტაზე მოგხვდით!“ — შემფოთებულმა კაპიტანმა ჩიბუხი გააწყო.



როცა მაგურამა ეკაბსს თერმომეტრი გამოართვა და დახედა, წყნარად თქვა:

— ჰოსპიტალურ ნაკვეთურში, ეკა! დანარჩენები კი მოეშადადეთ ნემსის გასაკეთებლად.

წამლის შეშხაუნების შემდეგ კაპიტანი, ოთარი, უორუ მორუა და ალბერტო ნერვი სამანქანო ნაკვეთურში ძრავებს არემონტებდნენ. ჩუმად მუშაობდნენ. ოთარმა უცებ კეფაში ძლიერი ღარტყმა იგრძნო. ჰაერი აღარ უოფნიდა. თვლები დახუჭა და კედელთან მიჯდა.

— მისტერ ოთარ, რა იყო? — შეჭყვირა კაპიტანმა. — ცუდად ხომ არა ხარ?

— ნუ ღელავთ, ჯონ, მხოლოდ თავი მტკიცია! კაპიტანმა ქანჩხალები კუთხეში მოისროლა, ოთარს ილიებში ხელი შეუყო და ფეხზე წამოაყენა.

მაგურაი ჰოსპიტალურ ნაკვეთურში იჭდა და მიკროსკოპით მუშაობდა — რვეულში რალაცებს იწერდა. წინ კი უცნაური ფორმის ფერადსითხიანი კოლები ეწყო.

— ახლავ, მისტერ ოთარ, საჭირო ინექციას გაგიკეთებთ. — მაგიდიდან წამოდგა მაგურაი.

ჩარლზმა ოთარს ნემსი გაუკეთა, სიცხე გაუშომა და იზოლატორში დააწვინა.

— რაიმე საიმედო თუ ჩანს, ჩარლზ? — იკითხა კაპიტანმა.

— არაფერი, ჯო. — უპასუხა მაგურამა და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა.

კაპიტანი უსიტყვოდ გავიდა, მაგრამ მალე ისევ შემობრუნდა.

— წყუელი პლანეტაა, ჩარლზ, სჯობდა გრივალს დაველუბეთ, ვიდრე სათითაოდ ამოვიხოცოთ აქ.

ერთხანს სდუმდნენ. მერე კაპიტანმა ჩუმად თქვა:

— თავი მტკიცა, ჩარლზ! — ჩარლზ, თუ ცოცხალი გადარჩი, იქნებ შესძლო ხომალდის მთავარი ძრავის შეკეთება. შენ თავისუფლად შეგიძლია ორბიტაზე ხომალდის გაყვანა...

— ამაო იმედია, ჯო. აქედან ცოცხალი ვერავინ გააღწევს. შეიძლება ოდესმე ამ უანგიან კუბოში გვიპოვონ.

მაგურაი ილუმინატორიდან იუპურებოდა. გარეთ მზე ისე მშვიდად ენთო უღრუბლო ცაზე, რომ ჩარლზს სისულელედ მოეჩვენა სიკვდილი...

რვა საათი სრულდებოდა, როცა მაგურამა უორუ მორუა მოათავსა ჰოსპიტალურ ნაკვეთურში. ახლა მის მეტი ფეხზე არავინ იდგა.

ჩარლზს დაკვირვების შედეგები მოჰყავდა წესრიგში. ჩქარობდა, რადგან გრძნობდა, ვერც მისი საქმე იყო კარგად....

არავინ იცოდა, რამდენი დრო გავიდა. ოთარი ერთბაშად გონს მოვიდა, საწოლზე წამოჭდა, ტანში არაჩვეულდებივი სიმსუბუქე იგრძნო. ჭკე სორდისა და ჰასდენ ჰიპსის ლოგინები ცარიელი იყო, დანარჩენები კი მიცვალებულეებს ჰგავდნენ. „დმერთო, ნუთუ ასე ვიყავი მეც?“ — შეძრწუნებული ჰოსპიტალური ნაკვეთურიდან გავიდა. დერეფანს გაჰყვა. სამანქანო ნაკვეთურიდან ხმაური შემოესმა. კარი შეადო. ჭკე სორდი ქანჩხალებით მუშაობდა.

— გამარჯობა, ჭკე!

— ზელოუ, მისტერ ოთარ! მომილოცნია მკვდრეთით აღდგომა!

— მართლაც მკვდრეთით აღდგომას ჰგავს ჩვენი ამბავი — ერთმანეთს გადახვიდნენ.

ოთარმა თვალი მოჰკრა, რომ ჰასდენ ჰიპსი კინოკამერით სურათებს იღებდა.

— რა გვაკეთო, ჭკე?

— კონტაქტებია შესამოწმებელი, მისტერ ოთარ! — სამუშაო ბევრი იყო. ავადმყოფები თანდათან წამოდგნენ. ახლა მხოლოდ მაგურაი იწვა. იგი იატაკზე ეპოვნათ ჭკესა და ჰასდენს.

ხომალდის საფუძვლიან შეკეთებას თქვესმეტი საათი მოუწოდნენ. სტარტის წინ ყველანი კაიუტკომპანიაში შეიკრიბნენ და გადარჩენის ბანკეტი გადაიხადეს.

— რა ავადმყოფობა იყო ეს, მისტერ ჩარლზ? — იკითხა უოლსენმა.

— ჩემი აზრით, ეს იყო ამ პლანეტის თვითდაზღვევა. ეს არის მიკრობი, რომელიც სპობს ყოველგვარ სხვა მიკრობს და ყოველგვარ დაავადებას ცოცხალ ორგანიზმში. ვფიქრობ, იგი უნივერსალური წამალია ყველა ავადმყოფობისათვის.

— იქნებ შეიძლება ეს მიკრობი დედამიწაზე ჩავიყვანოთ? — იკითხა ფრედ უოლსენმა.

— მიმყავს, სერ! — გაიღმა მაგურამა.

— თხუთმეტ წუთში სტარტს ავიღებთ! — თქვა კაპიტანმა.

მართლაც, მალე ხომალდმა კურსი აიღო. ფრედ უოლსენი და ოთარი ილუმინატორთან იდგნენ და საუბრობდნენ. ოთარი უცებ შეკრთა, თვლები გაუფართოვდა.

ილუმინატორიდან გამოჩნდა მზის სხივებით ვანათებული უზარმაზარი ბოთლის მსგავსი რაკეტა.

— მეგობრებო, ვილაციხ ხომალდი მოგვდევს! — ოთარი წამყვან ნაკვეთურში შევარდა.

საოცარი. ხომალდი „ნეპტუნის“ მარჯვნივ მიფრინავდა. მუდამ ალუზფოტობელ კაპიტანს სახეზე კუნთი უხტოდა.

— ეკ, ვრთავ სამარშო ძრავებს. ჭკე, საბორტო სისტემას მიხედე. მივდივარ ბორტის მარჯვენა სხივმფრქვევთან. სერ ოთარ, თქვენ მარცხენა ფრთაზე წახვალთ. ზედა დაცვას ჩარლზი უხეღმძღვანელებს. მეგობრებო, ცეცხლს იმ შემთხვევაში გახსნით, თუ ხომალდი შემოგვიტეხს.

ოთარი მარცხენა ფრთისკენ გაეშურა. მის წინ გიგანტი ჯო მიბიჭებდა. ოთარი იარაღთან მივიდა. ეს ძლიერი მოქმედებისა და სახმარად ადვილი ლაზერის სისტემის სხივმფრქვევი იყო. ოთარი იარაღზე დაიხარა, მაგრამ როგორც კი ხელი შეახო, სხივმფრქვევი შავმონაცრისფრო ფხვნილად დაიშალა. ამ დროს მაგურაის გაკვირვებული სახე გამოჩნდა:

— იარაღი დაიშალა, სერ! — თქვა მან. — ეი, ჯო, რა ეშმაკი ვქნათ?!

— რა მოხდა, მისტერ ჯონ?! — ჰკითხა ოთარმა კაპიტანს.

— მართალი ვითხრათ, არაფერი ვიცი, რა ხდება ამ წყუელ ხომალდში!

ილუმინატორიდან კვლავ დაინახეს უცხო ხომალდი. იგი „ნეპტუნისკენ“ მოფრინავდა. როცა მას გაუსწორდა, ქვედა კორპუსიდან გამოშვებული მძლავრი საცეცები ხომალდს შემოუჭირა. წამით სრბოლა შეწყდა, მერე კი ორივე ხომალდი საოცარი სიჩქარით გაფრინდა.

— დაგვატყვევეს! — ჯონ სტოუნმა ჩიბუხი ხელში შეათამაშა.

— ასეთი რამ ჭერ არ მინახავს! — თქვა ეკაბსმა.

კაპიტანმა ძრავები გამორთო...

— რა ჰქენი, ჯო? — ეკაბსი კაპიტანს შესცქეროდა.

— რა აზრი აქვს, ეკ, ჩიტმა არწივის კლანჭებში იფართხალოს?

— სინათლის სიჩქარით მივფრინავთ! — გაიკვირვა ჯონ სტოუნმა.

— დასაჯდომად მივდივართ, ჯო! — თქვა ეკაბსმა. — ისევ იმ პლანეტაზე ვჭლებით!

მართლაც ხომალდმა ერთხელ კიდევ შემოუარა ორბიტას და დაჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კარზე დააკაკუნეს.

ჯონ სტოუნი ხომალდში შემოსასვლელი კარისკენ გაემართა. კაპიტანს ოთარი მიჰყვა. მერე ყველამ კართან მოიყარა თავი. კარი კაპიტანმა გააღო. ყველა სახტად დარჩა: ავტომატებით შეიარაღებულ ბანდიტებს მოელოდნენ, ღია კართან კი იდგა ათლეტური აღნაგობის კაცი. ოდნავ ბრტყელი, ყვრიმალღებიანი, მზემოკიდებული სახე ჰქონდა. შავ წარბ-წამწამიდან სხივამდგარი თაფლისფერი თვალები კეთილად იციქირებოდნენ.

— სავ! — ამ სიტყვასთან ერთად გაიღიმა და ხელი ასწია მისალმების ნიშნად.

— ჰელოუ, მისტერ! — მიესალმა კაპიტანი. უცხო მარჯვენა ხელი გაუწოდა მას, მარცხენა კი გულზე მიიღო და თავი მოწიწებით დახარა.

— მეწო, ჰაუ მეწო! — უცხო გვერდზე მიდგა და კარისკენ მიუთითა ყველას.

— წავიდეთ, მეგობრებო. ეტყობა, ჭენტლმენია! — თქვა კაპიტანმა, — ბანდიტს არა ჰგავს!

კართან მოაჭირიანი ბაქანი იცდიდა. ყველა ბაქანზე ავიდა. უცხო მასპინძელმა ბაქნის მოაჭირზე მიმაგრებულ კლავის თითი დააჭირა. ბაქანი ნარნარად დაიძრა და მალე იწყო ასვლა. ძირს დარჩა დედამიწეთა ხომალდი. რომელიც უცხო ხომალდის ფონზე ლიტრიან ბოთლზე აკრულ ფილტრიან სიგარეტს ჰგავდა. ბაქანი მალე აცურდა. უცხომა კვლავ თითი დააჭირა კლავის და ბაქანი ჰაერში გაქვავდა. ხომალდის კარი უხმოდ გაიღო.

— მეწო! — თქვა უცხომა და ანიშნა ხომალდში შესულიყვნენ.

მაღალ, ნათელ დერეფანში რბილი ხალიჩა ეფინა. ერთხანს დერეფანს მიჰყვნენ, შემდეგ მასპინძელმა კაიუტის მაღალი კარი გააღო და შიგ შეუძღვა. ოთახის შუაში დიდი მრგვალი მაგიდა იდგა, რომლის ირგვლივ სავარძლები ეწყო.

— ჰერდი დოწ! — თქვა უცხო, ყველას სავარძლებისკენ მიუთითა და კაიუტიდან უხმოდ გავიდა.

— შესანიშნავი ვარსკვლავთმფრენია! — თქვა კაპიტანმა და სავარძელში ჩაეშვა. — ამისთანა ხომალდით სამყაროს ყველა გალაქტიკას ეწვეოდა კაცი!

კარი გაიღო და ოთახში ოთხი კაცი შემოვიდა. წინ მოდიოდა მაღალი, ბეჭებანიერი ჭალარა მამაკაცი. მას ოდნავ მრგვალი სახე, თხელი, ოთხკუთხა ცხვირი და დიდრონი, მოღურჯო თვალები ჰქონდა. მის უკან მომავალი სამი მამაკაცი საოცრად ჰგავდნენ მექსიკელებს. ტანისამოსი ყველას ერთნაირი ეცვათ. — თხელი ქსოვილის რბილი კომბინეზონები. ისინი თავაზიანად მიესალმნენ სტუმრებს და ჩასხდნენ სავარძელში.

— ვისთან გვაქვს პატივი საუბრისა? — შეეკითხა ფრედ უოლსენი მაღალ მამაკაცს.

შან გაიღიმა და, ნიშნად იმისა, რომ არაფერი გვესმისო, მხრები აიჩეჩა. მერე შეხედა ერთ-ერთ თანხლებს, რომელმაც ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი და გავიდა.

— ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ! — თქვა ოთარმა.

— დიახ, სერ, ტელეპატიის მეშვეობით! — უპასუხა ფრედ უოლსენმა.

კაიუტაში მოძრავი თხუთმეტსავარძლიანი, ოთხკუთხა დახურული კაბინა შემოაცურეს. სავარძლები ერთმანეთისაგან მინით იყო გამოყოფილი. სავარძლის ზემოთ, იქ, სადაც თავი იქნებოდა, მრგვალი რეფლექტორი იდგა. წინ კი კლავიშებიანი პატარა ეკრანი. ჭალარა მამაკაცი კაბინასთან მივიდა და ღილაკს თითი დააჭირა. გაისმა ნელი ტკაცანი და კაბინის კარები გაიღო. იგი პირველი შევიდა



კაბინაში, მერე ღიმილით ყველას ანიშნა — კაბინებში შემობრძანდითო.

პირველი ჯონ სტოუნი შევიდა. მას სხვებიც მიჰყვნენ. მაღალმა, მექსიკელს რომ ჰგავდა, კაბინებს ჩამოუარა და რეფლექტორები თავებს მიუშვია. კარები უხმოდ დაიხურა. კვლავ გაისმა ტკაცანი და ეკრანები აციმციმდა. ამუშავდა რაღაც მექანიზმი. ოთარმა იგრძნო თავს შემოთ რეფლექტორის ანთება. ეკრანზე რაღაც იმპულსები გარბოდნენ. პირველ კაბინაში მჯდომი ჭალარა მამაკაცი საათს დასცქეროდა.

„რას უნდა ნიშნავდეს ეს? — ფიქრობდა ოთარი. — ყაჩაღებს არ ჰგვანან, არც დედამიწელებს“.

— შეგიძლიათ გამობრძანდეთ, ბატონებო!

ოთარს ელდა ეცა. კარგად გაიგო ამ უცხო სიტყვების შინაარსი. ისევ გაისმა:

— ბატონებო, ჩვენ უკვე შეგიძლია ერთმანეთთან საუბარი!

კაბინიდან პირველი ფრედ უოლსენი გამოვიდა. სხვებმაც მას მიბადეს. ისევ მაგიდას შემოუსხდნენ.

— ბატონებო, საიდან ჩამობრძანდით? — იკითხა უცხო.

— დედამიწიდან. — უპასუხა ფრედ უოლსენმა.
— დედამიწიდან? ეს პლანეტა. ალბათ, მზის სის

ტემაშია.

— დიახ, სერ! თქვენ რომელი სისტემიდან ბრძანდებით?

— ჩვენ თეკეს სისტემიდან ვართ, ბატონებო, მარდისიდან!

— მარდისელები?! — დედამიწელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— დიახ, ბატონებო, ჩვენს პლანეტას მარდისი ჰქვია და თეკეს სისტემაშია.

— ნუთუ სწორად გვესმის ერთმანეთის? — იკითხა მაგუარმა.

— სახეებით, ბატონო. — გაიღიმა მარდისელებმა.

— როგორ მოხდა ეს? — იკითხა ოთარმა.

— სრულიად უბრალოდ, ბატონებო, — თქვა მან, — მანქანა, რომელსაც ნეიტრონული ნათურა ტვინი აქვს, სწრაფად არკვევს ჩვენს ტვინში არსებულ სიტყვათა და მცნებათა რაოდენობას. ახდენს მათ კოდირებას, ჰქმნის შესაბამის ნეირონ-მოდულებს და სხივების მეშვეობით შეჰყავს ტვინში. გარეგანი და შინაგანი აღგზნების მეშვეობით ხელოვნურ და ბუნებრივ ნეირონებს შორის მყარდება ურთიერთკავშირი. მსგავს ნეირონებს შორის კავშირი ძლიერდება და ისინი ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციებს, ხოლო განსხვავებულ ნეირონთა შორის კავშირი სუსტდება და ქრება. ასე მუშავდება აზროვნება.

— ასეთი მძლავრი ხომალდი რა ძრავაზე მუშაობს, სერ, და რამდენია მისი სიჩქარე? — იკითხა ჯონ სტოუნმა.

— ხომალდი ფოტონურია, ბატონებო. სიჩქარე 299.000 კილომეტრი წამში. — თქვა მარდისელებმა.

— ეს ხომ სინათლის სიჩქარის ტოლია! — წამოიძახა ჯეკ სორდმა.

— დიახ, ბატონო! — დაუდასტურა მარდისელებმა.

— თქვენი სახელი, სერ? რა პროფესიისა ბრძანდებით? — იკითხა უოლსენმა.

— ჩვენთან ადამიანები რამდენიმე სპეციალობას ფლობენ. პირადად მე ინჟინერ-კონსტრუქტორი, ნავიგატორი, ფიზიკოსი, ექიმი, ბიოლოგი, ასტრონომი, მათემატიკოსი, გეოლოგი, ფილოლოგი და ისტორიკოსი ვახლავართ. ჩემი მეგობარი ჰესტონი კი, — გვერდით მჭდომ ახალგაზრდაზე მიუთითა, — ოც სპეციალობას ფლობს. მე ჰიუკ ჰერდისი მქვია.

— რამდენ წელს ცოცხლობს თქვენთან ადამიანი? — ჰკითხა მაგუარმა.

— საშუალოდ ოთხას წელიწადს, რაც სხვა პლანეტებზე ცხოვრების ათას წელიწადს უდრის.

— საოცარია! — აღმოხდა ფრედ უოლსენს.

— დიახ, ბატონებო, ჩვენში გაცვეთილი უჭრედები იცვლება ახლით. ასე რომ, მუდამ შეიძლება ორგანიზმის გაახალგაზრდავება.

— ერთი რამ მაკვირვებს, სერ, — თქვა კაპიტანმა, — თქვენ შორის ვერ ვხედავ შეიარაღებულ ადამიანს.

— იარაღი?! — გაიკვირვა ჰიუკ ჰერდისმა. — ჩვენი სუპერცივილიზაცია უკვე იმ დონეზეა, რომ იარაღი არ გვჭირდება. ადამიანი მხოლოდ ბედნიერებისათვის არის გაჩენილი.

— კი მაგრამ, უცხო სახელმწიფო რომ დაგესხათ, სერ? — ჰკითხა ეკაბსმა.

— ჩვენს პლანეტაზე სახელმწიფოები აღარ არსებობენ, სერ. ისინი დიდხანია მოისპო. ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ ერთი სისტემა არის.

— სხვა პლანეტიდან თავდასხმისა არ გეშინიათ?

— არა, ბატონო. ჩვენ გვაქვს სხივები, რომელიც იარაღს საობს.

— მაშ თქვენმა სხივებმა გააქრო ჩვენი იარაღი?! —

გაიკვირვა კაპიტანმა.

— თუ ასეთი რამ გქონდათ, — კი ბატონო! — თქვა მარდისელებმა.

— რა პრინციპზე მოქმედებს ეს სხივები, როგორ არკვევს, იარაღია ის თუ სხვა რამე? — იკითხა ოთარმა.

— ამას აკეთებს ზერობოტი, რომელიც ყველა მიმართულებით გზავნის ჰილდა ტალღებს. ჰილდა ტალღები, ხვდება რა საგნებს, აირეკლება და უბრუნდება ზერობოტს. ზერობოტი ნეიტრალური ნათურა ტვინით წამის მეთასხედში არკვევს საგნის შემადგენლობას და მის დანიშნულებას, ესე იგი, მედიცინის ენაზე რომ ვთქვათ, დიაგნოზს სვამს და იმ მიმართულებით გზავნის პირტონულ და სუტან სხივებს. ეს სხივები ხვდებიან აღნიშნულ საგანს, ამ საგანთან შედიან რეაქციაში, რომლის დროსაც საგანი უმალ იშლება.

— ხომ შეიძლება ეს სხივი ან ეს ტალღა მოხვდეს ცოცხალ ორგანიზმს?

— კი ბატონო, მაგრამ ისინი სრულიად უვნებელია ბიოლოგიური უჭრედისთვის.

— ეს პლანეტა ნამდვილი საოცრებაა, სერ. ხომ არ გვეტყუოდით ამაზე რამეს? — იკითხა ოთარმა.

— ჩვენი პლანეტა რამდენიმე წლის წინათ უატომოფერო იყო, მაგრამ ხელოვნურად შევქმენით ექოსისტემა...

მძლავრ ვარსკვლავთშორისო ხომალდს მკერდევეზ ამოეკრა დედამიწელთა ხომალდი და კურსი მზის სისტემისკენ აეღო. მარდისელებმა დედამიწელებს გააცნეს თავიანთი მიღწევები კოსმოსურ ნავიგაციაში, საჩუქრად გადასცეს იარაღის საწინააღმდეგო ზერობოტები, მთარგმნელი მანქანა, ოთარს კი — „სიცოცხლის მანქანის“ უახლესი გეგმა-პროექტი. ექიმ მაგუარს ადამიანთა გაახალგაზრდავებისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის ხუთას წლამდე გაზრდის საიდუმლოება გაანდევს. ჯონ სტოუნმა, ეკაბს სტივენსონმა და ჯეკ სორდმ მიიღეს საჩუქარი — ფოტონური რაკეტის აგებისა და ძრავების დეტალური სქემა.

— მეგობრებო, ჩვენ უკვე მზის სისტემაში ვიმყოფებით, ჩართეთ თქვენი ხომალდის ძრავები. — გაისმა რადიოში ჰიუკის ხმა.

— მეგობარო ჰიუკ, ძრავები მუშაობენ, შეგვიძლია ავიდეთ სტარტი! — უპატაკა კაპიტანმა.

— კარგად იყავით, მეგობრებო, სალამი დედამიწელებს! მომავალ შეხვედრამდე!

— მეგობარო ჰიუკ, ასევე სალამი გადაეცით მარდისელებს! გელოდებით დედამიწაზე!

— მეგობარო ჯონ, გაძლევთ სტარტის უფლებას. სტარტი! — გაისმა უკანასკნელად ჰიუკის ხმა.

მარდისელთა რაკეტამ საციცები შეიკეცა და დედამიწელთა რაკეტა სივრცეში დაეკიდა. გამომშვიდობების ნიშნად მარდისელთა ხომალდი ორჯერ გადატრიალდა და სივრცეში გაქრა.

— როგორც კი დედამიწის ორბიტაზე შევალთ, ჩავრთავთ ორივე რობოტს. დაე, დედამიწაზე საბოლოოდ მოისპოს იარაღის ნასახი! — თქვა კაპიტანმა.

— დაპატიმრებულ ბანდას რა ვუყოთ? — იკითხა ჯეკ სორდმა.

— მათ ჩვენ გამოვიყენებთ როგორც მოწმეებს დოქტორ ლოუსისა და მისტერ სტრობისის შეხვედრი ზრახვების სამხილებლად და მოვაწყობთ მათ მსოფლიო გასამართლებას, — თქვა ფრედ უოლსენმა. — რობოტებს კი გადავცემთ მსოფლიო უშიშროების საბჭოს.

„ნეტუდს“ დედამიწაზე მოჰქონდა ადამიანთა ბედნიერება...



გარეშის გზაზე ქ გინდა...

ქალაქ სოხუმის მე-19 საშუალო სკოლას ვეწვიეთ. კლასურში, ზედ ზღვისპირას დგას ეს შენობა, სიმწვანესა და სილამაზისადაც.

შესვენებაზე პიონერთა ოთახი ბავშვებით აივსო: ზოგმა წიგნი გადაშალა, ზოგმა ყურნალი, ზოგმა ახალი კედლის გაზეთის კითხვა დაიწყო. თავად რომ სულ არაფერი ეთქვათ, ოთახის კედლები ამცნობდნენ მნახველს ამ სკოლის პიონერების ხალისიან და შინაარსიან საქმიანობაზე. რაც მთავარია, ბავშვებს თავისი ხელით დაემზადებინათ საკავშირო მარშის — „მზად ვარ“ — ყველა მარშრუტის სიმბოლური ნიშანი და ერთმანეთის მიყოლებით გამოეკრათ კედელზე. და განა მარტო გამოეკრათ! ისინი მთელი არსებით ჩაბმული არიან ამ მარშრუტების მოძრაობაში, სწავლობენ, შრომობენ, ერთობიან... ყველაფერს რა ენა მოსთვლის, მაგრამ მარშრუტ „ცოდნის სამყაროზე“ კი ერთი-ორი სიტყვით მაინც უნდა გაამბოთ.

ცოდნა ისეთი სიმდიდრეა, რომელიც ადამიანმა გულმოდგინე სწავლითა და მუყაითობით უნდა შეიძინოს. მხოლოდ ასეთი სიმდიდრე არის სასარგებლო, როგორც ადამიანისათვის, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაც.

უძიროა და უკიდევანო ცოდნის სამყარო, მაგრამ პიონერი იმის პიონერია, რომ სიძნელეებს არ შეუშინდეს და წიგნით ხელში გაიკაფოს გზა მომავალ ცხოვრებაში.

აი, სწორედ ასეთ მუყაით და სწავლამოწყურებულ პიონერებს გავეცანი ამ სკოლის V-ბ კლასის რაზმში. მათ ჩამოყალიბებული აქვთ ნორჩ მათემატიკოსთა წრე, საკლასო ოთახის ერთ კუთხეში მოწყობილია „მათემატიკური ყულაბა“. ყოველ კვირის დასაწყისში ამ მიჩნეულ ადგილზე ნორჩი მათემატიკოსები გამოჰკიდებენ ხოლმე თავიანთი ხელით დასურათებულ ამოცანას ან მაგალითს. კვირის ბოლოს კი წრის მეცადინეობაზე ისმენენ ამხანაგების პასუხებს. ყოველ ორშაბათს მოუთმენლად ელიან არა მარტო ამ რაზმის პიონერები, არამედ პარალელური კლასისა და სხვა კლასის მოსწავლეებიც: იწერენ „ცხელ-ცხელ“ ამოცანას და იწყებენ უჩუმარი ფიქრი, ძიება სწორი პასუხისა. იმ დღესაც ის-ის იყო საჯაროზე გამოეტანათ ეს ახალი ამოცანები. მათი ავტორია ოლეგ ხოროსანოვი, რომელიც მათემატიკის განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა. ამ ამოცანებში, იქნებ, თქვენც ჩაგაფიქროთ. ოღონდ ზეპირად უნდა ამოხსნათ.

1. ბინაში გვაქვს კედლის საათი, რომელიც ყოველ ნახევარსაათში ერთხელ რეკავს. საათის შესრულებისას კი იმდენჯერ, რომელი საათიც არის, რამდენჯერ დარეკავს ეს საათი დღე-ღამეში?

2. სამმა ძმამ ერთად დააგროვა 9 მანეთი. უმცროსმა ძმამ ერთი მანეთით ნაკლები დადო, უფროსმა კი მანეთით მეტი, ვიდრე შუათანამ. რამდენი დააგროვა თითოეულმა მათგანმა?

ნორჩი მათემატიკოსები ყველას ეხმარებიან ვისაც კი გაუჭირდება ამ საგანში დავალების შესრულება. უთუოდ ეს არის მიზეზი იმისა, რომ კლასში თოთხმეტი ოთხოსანი მოსწავლეა, ხოლო ოროსანი არა ჰყავთ!

„ცოდნის სამყაროში“ მტკიცედ მიაბიჯებს IV³ კლასიც.

ამ რაზმის პიონერებმა საგულდაგულოდ წაიკითხეს ა. გაიდარის წიგნები და სამუდამოდ დაუმეგობრდნენ ამ მოთხრობების თანატოლ გმირებს. „თემური და მისი რაზმი“ პიონერებს წმინდა სანთელივით უნათებს გზას სიკეთისაკენ, ასწავლის ლამაზ შრო-

მას, აყვარებს ადამიანს, რომელიც ადამიანს აალებინა მათ უხელო, უფერო ფანქრები და სასოებით დაახატვინა ეს საყვარელი გმირები. პიონერებმა მოაწყვეს ამ ნახატებისა და გაიდარის წიგნების გამოფენა.

წიგნებთან მეგობრობის ნიშნით ჩაატარეს პიონერებმა საბავშვო წიგნის კვირეული, ცნობილი საბავშვო ალექსანდრე ს. მიხალკოვის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია, რომელზეც წაიკითხეს ლექსები, ისაუბრეს პოეტის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე. წიგნის განსაკუთრებით მოყვარული პიონერები, რომლებსაც ხშირად გამოაქვთ ბიბლიოთეკიდან საკითხავი ლიტერატურა, „აქტიური მკითხველის“ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს სკოლის ბიბლიოთეკაში ერთი დღე სანიტარულ დღედ გამოცხადდა. დიდი ფუსფუსი ჰქონდათ პიონერებს: ზოგი დაზიანებულ წიგნის ფურცლებს აწებებდა, ზოგი კინძავდა, ზოგი წიგნის ბარათებს აახლებდა... შრომა თავისთავად სახალისოა, მაგრამ მამითადური შრომა ხომ ერთი-ორად აადვილებს, რაგინდ ძნელი საშუაოც უნდა იყოს...

არც საკავშირო მუსიკის კვირეულს ჩაუვლია უფერულად.

მუსიკის მოყვარული პიონერები შეხვდნენ შალიაპინის შემოქმედების თაყვანისმცემელს, სოხუმში მცხოვრებ გ. ა. ბარანიკს. მან დიდი მომღერლის ცხოვრების ბევრი საინტერესო ეპიზოდი უამბო პიონერებს, მოასმენინა ფირფიტაზე ჩაწერილი მისი სიმღერები... სამუსიკო სკოლის მოსწავლე პიონერებმა თავიანთ ამხანაგებისთვის შეასრულეს ჩაიკოვსკის პატარა პიესები. ამ სკოლის პიონერებს ქალაქის ა. გორკის სახელობის კულტურის სახლის საბავშვო სექტორში ჩამოყალიბებული აქვთ თოჯინების თეატრი. ნორჩმა მსახიობებმა სინოპის № 1 საბავშვო ბაღის პაწაწინა მაყურებელს აჩვენეს „ტერემოკი“. პიონერებელმძღვანელი ა. ი. კობიშევა თავს დასტრიალებს პატარა მეგობრებს და წინ მიუძღვება პიონერული მარშის — „მზად ვარ“ — გზებსა და ბილიკებზე...

კეთილან ხილაშვილი.



გალაქტიონ გვაზავა

ჩვენ. საგვაზავო-საბოკუჩაოს არასრული საშუალო სკოლის პიონერები...
წითელი კვალისმამიებლები, ვცდილობთ. წერილებით, სურვილებითა და ოცნე-
ბით გავუვით იმ ძნელბედობის უამს ჩვენი სოფლებიდან წასულ მამულიშვილთა
ნაკვალევს. ზოგი მათგანი დიდებით დამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ სო-
ფელს, ბევრი ვერაგ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაეცა. ჩვენ ვიცით ამ თავ-
დადების ფასი. ეს უზარმაზარი მსხვერპლი გაღებულია იმისათვის, რომ საბჭოთა
ქვეყანა მუდამ იყოს თავისუფალი და აუვაგებელი, რომ ჩვენს თავზე მუდამ იყ-
ოს ნათელი ცა, გვქონდეს ბედნიერი მომავალი.

ამ ბრძოლაში დაიღუპა ჩვენი სოფლის მკვიდრი, გალაქტიონ ევგენის ძე
გვაზავა, რომელმაც სწორედ ჩვენი სკოლის კედლებში წარმოთქვა პიონერული
ფიცი და მისი ერთგული დარჩა ბოლომდე.

ჩვენთვის, წითელი კვალისმამიებლებისათვის, გალაქტიონის ფრონტელი მეგო-
ბრების წერილებით არის ცნობილი მისი გმირობითა და ვუყვარებით აღსავსე
ცხოვრება.

სამშობლოსადმი მის თავდადებაზე ასევე მეტყველებენ მთავრობის ჭილღოე-
ბი, რომელიც მკერდს უმშვენებდა მეთაურსა და მეომარს.

გალაქტიონ გვაზავას ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე მუდამ სამაგა-
ლითო და მისაბაძი იქნება ჩვენთვის. გვინდა მის შესახებ ჩვენმა სხვა თანატოლე-
ბმაც იცოდნენ ამიტომ გთხოვთ, თქვენი ურუნალის საშუალებით გააცნოთ იგი
მკითხველს.

სოფელ საგვაზავო-საბოკუჩაოს არასრული საშუალო
სკოლის პიონერები — წითელი კვალისმამიებლები.

საპროლეტარიატის მებრძოლი

საქვეყნი

ზაპროლეტარიატის ბრძოლები უკანას-
კნელ ფაზაში შევიდა. საბჭოთა შენაერ-
თებმა მტერს სამი მხრიდან შეუტეეს,
უკან დახეული მტერი ქალაქში ჩაიკე-
ტა. ის აუღებლად მიაჩნდა, რადგან
გარს შემოუყვებოდა საცეცხლე წერტი-
ბითა და თავდაცვითი ზღუდეებით გან-
მტკიცებული მძლავრი რკალი, რომლის
ყველა მისასვლელი მჭიდროდ ჰქონდათ
დანადებული, მავთულხლართებით შემო-
ღობილი.

რკინა-ბეტონით შეკრულ-დაფოლა-
დებულ ზღუდეზე ჯიქურ იერიშით მის-
ვლა მეტად საძნელო იყო, მაგრამ ჰიტ-
ლერელები მაშველ ძალას მოელოდნენ და
ბრძოლის დაყოვნება არ შეიძლებოდა,
ამიტომ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის
სარდალმა ქალაქის შტურმით აღება
ბრძანა.

ამ ბრძანებამ ფეხზე დააყენა ჯარის
უზარმაზარი შენაერთები. მის ყველა ნა-
წილში, რგოლში, დანაყოფსა და ქვედა-
ნაყოფში დაიწყო ღამის შტურმისათვის
გამაღებული მზადება.

გალაქტიონ გვაზავას გვარდიელებიც
ემზადებოდნენ. იერიშის წინ გალაქტი-

ონი მებრძოლებს ესაუბრა ზაპროლეტარიატის
გათავისუფლების დიდ პოლიტიკურ, სამ-
ხედრო და ეკონომიურ მნიშვნელობაზე.
უთხრა ისიც, რომ ეს ქალაქი დნებრის
წინა ზღუდეა. ერთი მძლავრი შეტევა
და ისინი დნებრთან აღმოჩნდებიან. შემ-
დეგ მეთაურმა ფრონტული გაზეთი წა-
უკითხა. მათი ყურადღება განსაკუთრებით
სტალინგრადელი მშრომელების წერილ-
მა მიიპყრო. დიდი ჭირნახი ხალხი,
მე-მ არმიის მამაც გვარდიელებს მოუ-
წოდებდნენ — დნებრისათვისაც ისეთი-


ვე შემართებით ებრძოლათ, როგორც
კოლგისთვის...

„— იქ, დნებრის გაღმა, — ეწერა
წერილში, — ჩვენი ძმები და დები
ელოდებიან, რომ თქვენ მოსპობთ, გა-
ანადგურებთ მტერს ისევე, როგორც ის
მოსპეთ ვოლგასთან.

ჰიტლერელი ავაზაკების მონობისაგან
გათავისუფლებას ელიან ისინი. მაშ,
მძლავრად ურტყით მტერს! წინ, გაბე-
დულად!“

ასეულმა ფიცი დადო, რომ სისხლის
უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა
სამშობლოს გასათავისუფლებლად.

სტალინგრადის სახელი გალაქტიო-
ნისთვის განსაკუთრებით ახლობელი და
მშობლიური იყო. სწორედ სტალინგრა-



დის ისტორიულ ბრძოლებში ჩამოყალიბდა იგი, როგორც მეომარი და მეთაური. გალაქტიონს განსაკუთრებით თავისი პირველი იერიში დაამახსოვრდა, როცა უბრძანეს თავისი ასეულით სიმაღლე 392 დაეკავებინა და გზა გაეხსნა მოიერიშე დივიზიისათვის...

განთიადზე მეგრძოლები ცეცხლის ხანისაკენ დაიძრნენ. ხრამუნებდა სისხლში აზელილი თოვლი, იფოფრებოდა სუსხიანი ქარი. მაგრამ ნემსებივით მჩხვლეტავ სუსხს ვერაფერს გრძნობდა — დაძაბული ყურადღება ბურუსში ჩამჯდარი სიმაღლისაკენ იყო მიპყრობილი.

თხრილში ჩასხდნენ და ლოდინი დაიწყეს. მალე მძიმე არტილერია მოწინააღმდეგის პოზიციების დამუშავებას დაიწყებდა, შემდეგ წამოვიდოდნენ ტანკები და გალაქტიონიც თავისი ასეულით შეუტევედა სიმაღლეს.

და, აჰა, ნაცრისფერი განთიადი ქვემეხების გრუხუნმა შეძრა-შეაძიგდია. ვიდრე არტილერია მტერს ურტყამდა, მისი ასეული ჩუმად უნდა მჯდარიყო

სანგარში. დრო კი თითქოს ნელა მიიზღაწებოდა... ახრჩოლებულ ველზე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მეთაურმა ღრმად ჩაისუნთქა ცივი ჰაერი და სტარტზე მდგარ მძღვოსანივით ნახტომისათვის მოემზადა, მაგრამ ბინდბუნდი კვლავ ცეცხლის ზოლებმა დახაზა. „კატუშების“ ხმაშეწყობილმა წივილმა გააყრუა იქაურობა. ეს უკვე იერიშის დაწყების ნიშანი იყო. ამას მოჰყვა ტანკების მუხლუხების ღრჭიალი, ბომბდამშენების გუგუნე და მტრის არტილერიის საპასუხო ცეცხლი.

ამ ზღვა ცეცხლსა და ხმაურში განისმა უფროსი ლეიტენანტის გალაქტიონ გვაზავას ბრძანება:

— სამშობლოსათვის, წინ! — ომახიან ხმას მძღვარი ვაჟა მიესადაგა და ასეული ბექობისაკენ გაიჭრა.

ბრძოლა მძიმე იყო, მძიმე და სისხლისმღვრელი... გალაქტიონმა ბეჭის ქვემოთ უჩვეულ სითბო იგრძნო, თავიც დაუბრუნდა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო... შემდეგ ბრძოლაში მეორე ასეული ჩაება... მესამე... მეოთხე...

და ასე გაგრძელდა, ვიდრე მტრის წინააღმდეგე სიმაღლიდან ძირს არ ჩახვეტეს.

...საველე პოსპიტალში გალაქტიონი პოლკის მეთაურმა ინახულა და წითელი ვარსკვლავის ორდენი გადასცა. შეწუხდა მეომარი — ამ ჯილდოს ფასი რა გავაკეთო... მეთაურს კი მადლობის ნიშნად გაუღიმა, თანაც დაჰპირდა, რამდენიმე დღეში ნაწილში დავბრუნდებო.

ეს იყო ერთი წლის წინათ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გალაქტიონის თავზე ბევრჯერ დატრიალებულა ცეცხლის კვერი. და ის, რაც მაშინ მძიმედ, ზოგჯერ შეუძლებლად მიაჩნდა, დღეს მისთვის ჩვეულებრივ საქმედ ქცეულიყო. ფრონტული ცხოვრება შეისისხლხორცა, ბრძოლის ველს შეეჩვია. ყუმბარებით გადათხრილ გზებზე გალაქტიონს სამჯერ დაეწია მტრის ტყვია: ჩაიშრულა, წაიბორძიკა, მაგრამ სამივეჯერ წამოდგა...

ნაწილში მას იცნობდნენ, როგორც უშიშარს, მამაცსა და გამოცდილ მეთაურს. საბრძოლო დაჯილდოებასაც თამამად ანდობდნენ. მისი ვაჟკაცობა შეუშინებელი არ დარჩენილა დივიზიაში. ქალაქ ოსტროგოჟსკთან მტრის დაჯგუფებათა ლიკვიდაციის დროს გამოჩენილი სიმამაცე წითელი ვარსკვლავის მეორე ორდენით აღინიშნა. მდინარე ორიოლის გადალახვისათვის მედლით დააჯილდოვეს. უმაღლესი მთავარსარდლის ორი მადლობაც დაიმსახურა. მაღალი პოლიტიკური და საბრძოლო მომზადებისათვის კაპიტნის წოდებაზე წარადგინეს. ყველაფერი ეს მისთვის საამაყოც იყო, სასიხარულოც, მაგრამ ბუნებით მოკრძალებულს, ამ სიხარულის ხმამალა გამომტყდვენებისა ერიდებოდა თითქოს. ასეთი იყო სიჭაბუკეშიც. წიგნებსა და ცოდნას დაწაფებული მუშაობდა ჩუმად, უხმაუროდ. იყო ზრდილი, გულკეთილი და მოკრძალებული.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, სტალინური სტიპენდიანტი, ყველგან გამორჩეული ყურადღებით სარგებლობდა, თუმცა თავის გამოჩენას მუდამ ერიდებოდა. მხოლოდ ფრონტზე შეიცვალა ხასიათი — მტრის პოზიციებისაკენ პირველს უნდა გაეკვალა გზა. სახიფათო დაჯილდოებათა შესრულებაშიც პირველი თვითონ უნდა ყოფილიყო.

ასლოვდებოდა შტურმის საათი. მას



მშვიდად ელოდა გალაქტიონი. ეს სიმ-
შვიდე გამარჯვებაში დარწმუნებული
ადამიანის ღრმა რწმენა იყო. ასეულს
პირველ ეშელონში უნდა ებრძოლა და,
ვინ იცის, მეთაური თავის გონებაში მე-
რამდენედ წონიდა შეტევის ყველა
წვრილმანს.

გარღვევის უბანი, სადაც გვარდიული
დივიზია იდგა, ვიწრო ზოლს წარმოად-
გენდა. მასში თავმოყრილი იყო მძიმე
არტილერიაც, ნაღმმტყორცნელთა ბატა-
ლიონიც, სატანკო ბრიგადაც და ქვეითი
ჯარის ოთხი პოლკიც.

ღამე იყო გრილი. მთვარიანი. მკრთალ
შუქზე მოჩანდა ჩამოჩონჩხილი სახლე-
ბის სილუეტები და ტყვიებით დაცხრი-
ლული ხეების გრძელი ჩრდილები. შე-
მოდგომის მშვიდ ღამეს ზოგჯერ ავტო-
მატების კაკანი არღვევდა და კვლავ
მყუდროება ისადგურებდა, თუმცა ეს იყო
მრისხანე, ავისმომასწავებელი.

როგორც მრავალი სხვა განაყოფი, გა-
ლაქტიონის ასეულიც ბრძანებისთანავე
წინა ხაზზე უხმაურად გავიდა და მიჩე-
ნილ ზღუდეზე გაინაბა. სიკვდილ-სი-
ცოცხლის კიდეზე, ჯარისკაცი თუ მეთა-
ური, შეუცნობელი სურვილით, იმედითა
და რწმენით აღგზნებული, საკუთარ
ფიქრებთან რჩება. განსაცდელის ჟამს
დუმდნენ გალაქტიონის მებრძოლებიც.

შემდეგ ერთბაშად აფეთქდა შემოდ-
გომის გრილი ღამე. ფოლადი, მიწა,
კვამლი და ადამიანი ერთმანეთში აირია
და ცეცხლის ზღვაში შთაინთქა ზაპო-
როვიე. ათასობით მძიმე ქვემეხი, ნაღმ-
სატყორცნი, ტყვიამფრქვევი გავარარე-
ბულ ლითონს აყრიდა ქალაქს. დაბოლოს
დაიძრა ასობით ტანკი და მუხლუხებით
წალეკა წინა პოზიციები. მათ გარღვე-
ვაზე გააყვა ქვეითი ჯარი.

ამ ჯოჯოხეთურ ხმაურში ჩუმად და-
იკვნესა ასეულის მეთაურმა და მოწყ-
ვეტით დაეცა. მასთან ჩაიმუხლა ჯარის-
კაცმა და საყვარელ წინამძღოლს თავი
წამოუწია. დაჭრილის გაფიტრებულ სა-
ხეს მთვარის მკრთალი შუქი ანათებდა.
უფროსმა ლეიტენანტმა მძიმედ გაახი-
ლა თვალი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაი-
ჩურჩულა:

— იბრძოლეთ... წინ დნებრია... იქ
გელოდებიან... — და სამუდამოდ დახუ-
ჭა თვალი.

ლაშარა მუხაბა-სანაძე.

მატყარი მ. ჩხარტიშვილი.



საქართველო ოდითგანვე იყო ცნობილი თავისი ფლორითა და ფაუნით,
მაგრამ უამთა სიავემ ბევრი თვალწარმატცი მიდამო გაავერანა და ხრიოკად
აქცია.

ამჟამად მთელ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული მშობ-
ლიური მიწა-წყლის უოველმხრივ გასამშვენნიერებლად. ირგვება მილიონობით
ხე და ბუჩქი. შიშველ არემარებზე კვლავ იზრიალებენ ქოჩორა ტყეები, იმრავ-
ლებს შველი თუ ირემი, ხოხობი თუ დურაჯი, ანკარა წყარო თუ ნაყადული...
ადამიანებს ექნებათ ჭანსალი შაერი, იმატებს სიცოცხლის ხალისი.

ამ საშვილიშვილო საქმეში თქვენც — პიონერ-მოსწავლეებიც — ჭეროვან
წვლილს შეიტანთ: მხარში ამოუდგებით უფროსებს, თვალისჩინივით გაუფრ-
თხილდებით ნარგავებს, მუდამ ფხიზლად იდგებით ბუნების დაცვის სადარა-
ჯოზე.

ფოტო ზ. ლათუნაშვილისა.



PIONEER



PIONEER

გზაგადასასრული ჩვენს

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ხოლმეკი
კუკი

მხატვარი
ვიანო
ტაენისონი

ჩვენთან სჯობდად არის ესგონეთის სსრ საყ-
მანვილო ჟარნალი „პიონერი“. გთავაზობთ ამ
ჟარნალში გამოქვეყნებულ რამდენიმე მასა-
ლის თარგმანსა და ნახაზებს.



წ ა ნ ი ნ ი

მან არწივულად გაშალა ფრთები;
ძველი სამყარო უცქერდა ძრწოლვით.
გავარდა მესად — ნათქვამი გზნებით.
— აღსდევით!
დაჰკრა საათმა ბრძოლის!

მან არწივულად გაჰხედა სივრცეს,
ახალი ქვეყნის შეუდგა მართვას...
და ხალხი მარად მის სახელს ჰფიცავს,
სახელს—ყველაზე ძლიერს და მართალს.

ლიია სუბინი,
VIII კლასი.

წ ა ე უ თ ზ ა ო

გაიგო ლინაშიაგი

სამშობლო
ქვეყნად ერთია მხოლოდ, —
ჩვენი ოცნების თავი და ბოლო.

თეთრი სკოლები,
ყრმათა ბაგები...

სამშობლო —
მიწა ზურმუხტოვანი,
ზღვის ნაპირები ხავერდოვანი,
ტყე-უღრანები —
მწვანედ რწეული,
ველები ვრცელი, შუქდამცვრეული;
ზოგჯერ ქარბუქი, თოვლი მუხლამდე,
მერე — ყვავილთა თოვა უხვადვე.
სოფლად,
ქალაქად —
კონტად ნაგები

სამშობლო —
დედის სათნო თვალები,
მამის ხელები დაუმცხრალეები...
ის თავს გვევლება
დღისით და ღამით,
თვალს არ გაცილებს
არც ერთი წამით.

შენც, როგორც დედას
და როგორც მამას,
ნუ დაუკარგავ სამშობლოს ამავს!

თარგმანა ს. შამფრინაშვა.

ჯერ კარგად არც კი გათენებულყო,
როცა ფანჯარაზე მამამ დააკაკუნა.

დედამ სწრაფად წამოისხა პალტო და
კარისკენ გაეშურა, თან აღელვებული
ბუტბუტებდა:

— ღმერთო, გვიშველე! ნეტა რა ამ-
ბავია მის თავს?

არნოც წამოჯდა საწოლში. მისთვის
მოულოდნელი იყო მამის მოსვლა.

აი, გაიღო კარი და მხარბეჭიანმა,
წვერმომშვებულმა კაცმა ოდნავი ბარბა-
ციტ გადმოაბიჯა ზღურბლზე. ჰოი, რა
გაწამებული, დაღლილი სახე აქვს! ვა-
ითუ დაჭრილია? ახლა ხომ ომია და
ფრონტიც აგერ ახლოს, სოფლის გა-
დაღმაა.

მამა სკამზე დაეშვა, წუხანდელს აქეთ
ჯერ კიდევ გაუსცივებელ ღუმელს მიეყ-
რდნო კეფით და გაირინდა. გეგონე-
ბოდა, ჩასთვლიმაო.

არნომ თვალეები მოიფშვნიტა — ალ-
ბათ კარგად ვერ გამოფხნიზლებულვარ
და იმიტომ მეჩვენებო. როდის იყო,
რომ მამას შინ მოსვლისთანავე ჩასძი-
ნებოდეს! დედა შეშინებული უმზერდა
ქმრის გატანჯულ სახეს. ერთიანად დას-
ველებულ ტანისამოსს.

„როგორ გაჩნდა აქ? იქნებ მოსდევ-
ვენ?“ — გაიფიქრა მან და მყისვე წინ-
კარში გავარდა, კარს ურდული გაუყარა.

ოთახში რომ შემობრუნდა, მამამ ხმა-
დაბლა, მშვიდად უთხრა:

— ნუ შიშობ, დედილო, არავინ მომ-
დევს.

დედამ შვეებით ამოისუნთქა და ის
იყო, რაღაც უნა ეკითხა, რომ მამამ
კვლავ წყნარად თქვა:

— დედილო, მოდი ეს ჩექმა გამხა-

დე, იქნებ ჭრილობაც მომბანო რაიმეთი.
ელდანაკრავი დედა ქმრის ფეხთან
დაიხარა და წყლით გაჟღენთილი ჩექ-
მის გახდა დაუწყო.

არნო საწოლიდან გადმოხტა და და-
მის პერანგის ამარა მამის ახლოს ჩა-
ცუცქდა. სანამ დედა ფეხზე ხდი-
და, ხან მამას შეხედავდა, ხან ჩექმას.
ბიჭი გრძობდა. რარიგ სტკიოდა მამას:
წამწამები უთრთოდა, ტუჩები ისე მაგრა
მოეკუმა, გაბურძენილ წვერ-ულვაშში
არც კი უჩანდა.

დედამ ამოიხსრა და, გახდილი ჩექ-
მით ხელში, ფეხსახვევს დააცქერდა. ფე-
ხსახვევი წითლად იყო დალაქავებული.
ეს სისხლის ლაქები იყო.

ფრთხილად დაუწყო ფეხსახვევს შე-
მოსხნა. დაჭრილს ფეხი ტკივილისაგან
უცაცხავებდა.

დედა მკვირცხლად დატრიალდა. ტაშ-
ტში თბილი წყალი ჩაასხა, მოიტანა
მაკრატელი, წამლიანი შუშა, ბამბა. შემ-
დეგ ძველ, სუფთა ზეწარს გრძლად ჩა-
მოსჭრა და რამდენიმე წუთში ჭრილობა
შეუხვია. მერე ფანჯარა გააღო — ოთახ-
ში წამლის მძაფრი სუნი იდგა.

ჭრილობა საშიში არ ჩანდა. მაგრამ
მამას თურმე ხუთი კილომეტრი გამო-
უვლია ფეხით და ბევრი სისხლი და-
უკარგავს. დალილა, გაწვალებულია.

— სად იყავი ასე შორს? — ჰკითხა
დედამ.

— ვანგუტის მახლობლად, გერმა-
ნელთა საცეცხლე წერტებს ვზვერავდი.

მამა მაგიდამდე მიბორძიკდა, ჩამოჯ-
და, თავი ხელებზე დაუშვა და ისევ
ჩასთვლიდა.

არნო კი კვლავ შუა ოთახში ჩაცუც-
ქულა და თვალუბაღქვეული ღუმელთან
დადებულ ჩექმებს აშტერებდა. მარჯვენა
ჩექმის ყელს ორივე მხარეს ნახვრეტი
აჩნია. ეტყობა, აქ გაიარა ტყვიამ. პა-
წაწინა ნახვრეტებია, არც ჭრილობაა
ლრმა, მაგრამ ძაღიან კი გაუტანჯავს
მამა. კიდევ კარგი, რომ გატანჯვა აკ-
მარა...

არნოს ტანში ჟრუანტელი უვლის.
დედა ამგვარი შემთხვევების დროს იტ-
ყოდა ხოლმე: „სიკვდილმა გვერდით ჩა-
უარაო“. ეს გამოთქმა არნოსთვის ახლა
უკვე გასაგებია, მას გუშინდელი ნანახი
გაახსენდა.

სწორედ გუშინ საღამოს გერმანელებ-
მა შეიძი წითელარმიელი დახვრიტეს
მათი სახლის ფანჯრის წინ. წითელარ-
მიელები ყველგანმავალით ისე შემოსუ-
ლან სოფელში, ეჭვი არაფრისა ჰქონიათ.
პოდა, პირდაპირ ხელში ჩაუვარდნენ
ფრიცებს. ახლა ისეთი დროა, ვერაფ-
რით ვერ გაიგებ, ვის სად გადაეყრები.
დღეს სოფელი ჩვენების ხელშია, აქ კი,
ორულაში, ჯერ კიდევ ფაშისტები თარე-
შობენ. მართალია, უკან იხევენ, მაგრამ
აქა-იქ მაინც გააფთრებულ წინააღმდე-

გობას უწევენ ჩვენს ჯარებს. ასეა აქაც.
ვანგუტის მხრიდან მთელი ტყის პირას
ქვემეხებია განლაგებული. მათი ლულე-
ბი გზისკენ და მიწდვრისკენ არის და-
მიზნებული — საბჭოთა ტანკებისა ეში-
ნიათ.

გუშინ წითელარმიელებმა ორჯერ
სცადეს ორულადან გერმანელების გან-
დევნა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. სოფ-
ლის შემოგარენი თითქმის სულ ჩვენებს
აქვთ დაკავებული, აქ კი, თითქოს ჯიბ-
რზეო, ფაშისტები სხედან. ალბათ, ასე
იმიტომ ებლაუჭებიან ამ სოფელს, რომ
მის უკან დიდი გზა გადის, იმ გზით კი
გერმანელები იხევენ ქალაქისაკენ, რო-
მელიც ჯერ კიდევ მათ ხელშია.

ჩაცუცქულ არნოს ფეხები დაუბუჟდა.
წამოიმართა. იატაკმა დაიჭრაჭუნა. დე-
დამ ბიჭს თითი დაუქნია: წყნარად, მა-
მა არ გააღვიძო, ცოტა მაინც დაისვენო-
სო. მაგრამ მამამ უკვე გაიღვიძა. იგი
ორი წელიწადია, ტყეში ცხოვრობს, დღე-
ღამ საფრთხე ემუქრება და ამიტომ მი-
ეჩვია ტყის ცხოველივით მუდამ ფხიზ-
ლად ყოფნას.

ფანჯარაში გაიხედა. ცის აღსავალი
თანდათან ნათდებოდა. მამა დამშვიდდა
და მისთვის ჩვეული ხუმრობით თქვა:

— ურიგო არ იქნებოდა ცოტა წა-
მეხემა. მერე საუბარიც შეიძლება. თო-
რემ, აბა, უზმოზე რა გელაპარაკება
კაცს!

დანაყრებული უფრო სიტყვა უხვი
გახდა მამა. შეიღოს უბრძანა, — მალე
ჩაიცივი, პირდაპირ დამიჯექი და ყური
დამიგდეო.

არნოს ფართოდ გახელილი ნაცრის-
ფერი თვალები შუშის ბურთულბივით
უბრჭყვიანობს. ალღევებული იცდის,
რას ეტყვის მამა, რომელიც საქმიანი კი-
ლოთი, ისე როგორც მოზრდილს, მხო-
ლოდ რამდენჯერმე დალაპარაკებია მას.
ერთხელ პარტიზანული რაზმის სახე-
ლით უბრძანა, ვიღაც გლეხისთვის ვან-
გუტაში ცნობა მიეტანა; მეორედ, სოფ-
ლის უკან დიდ გზაზე მიმავალი მანქა-
ნებისა და ტანკების დათვლა დაავა-
ლა; მესამედ...

მაგრამ ეს რა ემართება მამას? იგი
თვალმოუშორებლად იცქირება ფანჯა-
რაში, სახეზე კი ღრმა შეშფოთება ახა-
ტია, თითქოს ყოყმანშიც არის.

მამა ერთი წუთით არნოსკენ მოიხე-
დავს. პირს ალებს რაღაცის სათქმელად,
შემდეგ ჩუმად ამოიხსრებს და ისევ ფან-
ჯარაში ცქერას განაგრძობს.

მამის შეშფოთება დედამაც შენიშნა.
ქმარს ზურგიდან მიუახლოვდა და ხელე-
ბი მხრებზე დაადო. მამა კვლავ აცქერ-
დება შეიღის მრგვალ, მზით გარუჯულ
პირისახეს, სწორ ცხვირს, აჯაგრულ
თმას. შემდეგ ცოლზე გადააქვს მზერა
და იწყებს ლაპარაკს ჭოჭმანით, თითქოს
ეჭვობს, მაქვს თუ არა ამის თქმის უფ-
ლებაო:





— ჩვენმა არნომ უნდა შეასრულოს ერთი ძნელი დავალება...

დედის თითები მაგრად უჭერენ ქმრის ბეჭებს. დედა ხვდება, რომ ეს დავალება ძალზე სახიფათო უნდა იყოს, თორემ მისი ქმარი ასე არ იტოვებოდა.

— ჰო... — დაბნეული ბუტბუტებს დედა.

მამა მის ხელებს თავის ხელებში მალავს და, რომ ცოლიცა და თავისი თავიც დაამშვიდოს, ჩქარ-ჩქარა წარმოთქვამს:

— ყველაფერი ავწონ-დავწონე... სხვა გზა აღარ არის...

დედა კარგა ხანს თვალს არ აცილებს არნოს. ამ მზერაში ჩანს სინაზეც, შიშაც, იმედიც...

— ჰო... — კვლავ იმეორებს იგი. — თუ სხვა გზა არ არის, იმედი ვიქონიოთ, რომ...

— დიას, იმედი ვიქონიოთ! უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, ყოველივე კარგად დამთავრდება. ეს კი რამდენიმე ასეულ მეტრძოლს იხსნის დაღუპვისაგან...

მამა ხელებს მაგიდაზე აწყობს, არნოს თვალში თვალს უყრის და ეკითხება:

— გინდა დაეხმარო წითელ არმიას?

— მინდა! — თავს უქნევს არნო, იგი არასოდეს ყოყმანობს, როცა მამა რაიმე საქმეს ანდობს. რა თქმა უნდა, შეასრულებს დავალებას. მამა ხომ ისეთ რამეს არ დაავალებს, რაც არნოს ძალღონეს აღემატება.

— მინდა! — კვლავ დაუქნია თავი არნომ. — რას მავალებ?

მამა ხმადაბლა უხსნის, რა უნდა გააკეთოს ბიჭმა.

მზე უკვე ამოსულია. არნო ჭიშკარს ადებს და წაბლა ძროხა გზაზე გამოჰყავს.

ჭიშკარი უმაღლე იკეტება და ძალი მურკა, მესერში დრუნჩი რომ გამოუყვია, გაოცებული აცილებს არნოს. ჯერ არასოდეს ყოფილა შემხვევა, არნოს თავისი ერთგული თანაშემწე მურკა თან არ წაეყვანა სამწყესურში.

არნომ მწყემსის ჩანთა შეისწორა ზურგზე. ჩანთაში დედამ კარაქი, დამარილებული ქაშაყი და მოზრდილი პურის ყუა ჩაუწყო. ბიჭი სტვენით მიდნის წაბლას. შორს მწვანედ დაღანებს არყნარი — არნო სწორედ იქითკენ მიემუხრება.

ეტყობა, დღეს არნოს ცხარე დღე ექნება. თუნდაც იმიტომ, რომ მურკას შინ დატოვება მოუხდა. რას იზამს, მარტოს მოუწევს წაბლას უკან დგენა.

არყნარი ფრინველთა ჟივილ-ხივილით და ხეთა შრიალით ესალმება. რა კარგია აქ! არნოს აზრით, აქაურობას ბადალი არა ჰყავს. აქ როდია ისეთი მოწყენი-

ლობა, როგორც ნაძვანარშია ხოლმე. არც ფიჭვნარისებური ერთფეროვნებაა, არც — მუხნარისებური მკაცრი წესრიგი, არც ისეთ გაუვალ ტვერს წააწყდები. შერეულ ტყეში რომ იცის. აქ ყველაფერს ნათელი გადასდის...

უცებ არნო ჩერდება. სადღაც შორს დილის ჰაერს ტყვიამფრქვევის კაკანი არხვეს, თითქოს უნდა გაგახსენოს, რომ ახლა ომია.

არნოს ნათელი დილის მიერ მოგვრილი მხიარული განწყობილება უმაღლე უჭრება. მის თვალებს, სმენას უფრო და უწრო აწყდება ომის ნიშნები: ქვემეხების გრიალი, არყნარს მიღმა ავტომატების გაბმული ტყაცა-ტყუცი, ყუმბარებისაგან ამოთხრილი ჩაშავებული ორმოები...

ბიჭი არყნარს უკვე ერთი კილომეტრით გასცდა. აქ საშიში თითქმის არაფერია და შეუძლია უფრო სწრაფად იაროს. ძროხა წამდაუწუმ ბალახს ეტანება, მაგრამ არნო მაშინვე სახრეს უცხუნებს.

დაიწყო ლორთქო ბალახით დაფარული მინდორი. რაც შეიძლება მალე უნდა გავიდნენ ტყის გზაზე, თორემ შესაძლოა გერმანელებს გადაეყაროს — ისინი სოფლიდან ტყვია-წამალს ეზიდებიან ტყისპირებში განლაგებული საცეცხლე წერტილისაკენ.

გერმანელებს თუ გადაეყარა, არნომ, როგორც მამამ დააბარა, სულელური სიფათი უნდა მიიღოს და გულუბრყვილოდ იკითხოს: რაო, არ შეიძლება ტყეში ძროხა ვაბალახოო? და თუ მაინც დაუსულიან, ისე უნდა მოიქცეოს, ვითომ უკან, სოფლისაკენ ბრუნდება.

აგერ, ტყის გზაც.

ისმის ფორნების რახრახი. ვერსად ვერაფერს მოეფარები. თუმცა დამალვა არც არის საჭირო, მამამ ხომ უთხრა, წაბლა შენიღბვის საუკეთესო საშუალებააო. აბა, ვის დააჭევებს მოჩერჩეტო მწყემსი ბიჭუნა, თავის ბეხრეკ ძროხასთან ერთად რომ დაეხეტება ტყეში!

ხეებს მიღმა გამოჩნდნენ ფორნებში შებმული ტანადი ცხენები. ფორნები ნაირ-ნაირი ყუთებითაა დატვირთული.

აი, წინ მომავალი ფორანი გაჩერდა. გაჩერდნენ უკანანიც.

— შენ, ეი, მოწყედი აქედან! — ყვირის გერმანულად მაღალ-მაღალი უნტერ-ოფიცერი.

მალე იგი ფორანიდან ჩამოდის, წაბლას რქაში ხელს ჰკიდებს, დრუნჩს ორულასაკენ მიუტრიალებს და ჩიქორთული ესტონურით იძახის:

— სახლზე! სახლზე! ჩქარი!

არნო სულელურ გამომეტყველებას იღებს, პირს აფრენს, თვალებს ფართოდ აჭყეტს. ბოლოს გაიღიმებს და თავს უქნევს. უნტერ-ოფიცერი საჭიროდ სთვლის ერთხელ კიდევ განუმარტოს:

— სახლზე! სახლზე! ჩქარი! ჩქარი! უნდა შეშინებულივით იბუზება და წაბლას ორულას მიმართულებით მიერეკება.

აღალი გზას განაგრძობს.

არნო მალულად მიმოიხედავს. ბოლო ფორანი ეს-ესაა ხეებს მიეფარა. ბიჭი წაბლას მყისვე მარცხნივ მიაბრუნებს და სწრაფად მიდნის. თანდათან ღრმად შედიან ტყეში.

„კეთილი ძია შემხვდა... — იცინის არნო გუნებაში. — „სახლზე, სახლზე, ჩქარი, ჩქარი...“

გამოჩნდა სამღეროიანი არყის ხე. აქ მარცხნივ უნდა გაუხვიოს — ამ მხარეს გერმანელების დაცვა არც ისე ძლიერია.

არნოს გული გამალეობით აუძებრდა: თუ დაიჭირეს და სოფლისკენ მიმავალ რომელიმე ჯარისკაცს ჩააბარეს მისი თავი, ხომ ყველაფერი გათავებული იქნება! გუნება გაუფუჭდა. ანაზღად შეძახილი მოესმა:

— სდექ!

კიდევ კარგი, რომ წაბლა ახლავს თან! მღელვარების დასაფარავად ძროხას დაუყვარა, შეჩერდით.

ბიჭს სამი ჯარისკაცი უახლოვდება. ეს პატრულია. პატრულის უფროსი მკაცრად უბრძანებს, ახლავე მოუსვას თავის „ნახირიანად“.

არნო ისევ სულელურ სიფათს იღებს. ხელებს შლის, თვალებს აჭყეტს და დამტვრულ გერმანულ სიტყვებს თუთიყუშით იმეორებს:

— ის ვორულა, აბერ ვო? (მე ორულა, მაგრამ საიდან?)

ჯარისკაცები, ბოლოს და ბოლოს, „ხვდებიან“: ბიჭს ეტყობა, ცოტა „უქრის“, თანაც გზა დაბნევილია... უთითებენ, საითაც უნდა წავიდეს და არნოც იქითკენ მიერეკება წაბლას.

როგორც კი თვალს მიეფარა პატრული, არნომ ძროხა წინანდელი მიმართულებით მიაბრუნა და სწრაფად გასწავია წინ.

ტყე უფრო ხშირი გახდა. მალე წაბლას მარტოდ დატოვება შეიძლება. აქ ძნელი არ არის დამალვა. ესეც არ იყოს, თვით ყველაზე მიამიტი გერმანელიც კი არ დაიჭერებს, რომ მწყემსი ბიჭუნა ამ უღრანში მარტოკა მოიყვანდა საქონელს. ხოლო იმის თქმა, გზა დამეხნათ, ეჭვს აღძრავდა, რადგან ორულა აქედან კარგა შორსაა.

„წაბლა! შენ შენი საქმე უკვე გააკეთე... ახლა აქ უნდა დარჩე. იქნებ მეტად ვეღარ ვნახოთ ერთმანეთი... — ფიქრებში ეუბნება არნო თანამგზავს და თან ბუჩქზე აბამს. — თუ დაგბრუნდი, შენც წაგიყვან შინ! — ბიჭი წაბლას კისერზე ხელს უთათუნებს. — აბა, კარგად იყავი!“

წაბლა, თითქოს ყველაფერს ხვდებაო, ძოვას თავს ანებებს და მწყემს ბიჭს ნაღ-

ვლიანად გააყოლებს თვალს. არნო ტევრში მარჯვედ მიიკვლევს გზას. ტყის პირამდე დაახლოებით სამასი მეტრი იქნება. ოღონდ მალე უნდა მონახოს დელის ნაპირი, სადაც საცეცხლე წერტილები უფრო შორი-შორს არის განლაგებული. მთავარი ძალები მეზობელი სოფლის მოპირდაპირე ტყის პირებში დგანან — ფაშისტები იმ მხრიდან მოელიან თავდასხმას.

დაზვიანებული ლექსის სტრიქონით, არნო ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებს გუნებაში: „ოღონდ მივადწიო დელემდე, ოღონდ მივადწიო!“

გაისმის განმეორავი სტვენა, რასაც სადაც უკან, აფეთქების ხმაც მოსდევს. რა ხდება?

პირველ აფეთქებას მოსდევს მეორე, შემდეგ — მესამე, მეოთხე... ისმის გრუნინი, ხეთა ტოტების ლაწალუწი. ტყის პირიდან გერმანელთა ხმები აღწევს არნომდე.

„ალბათ, წითელი არმიის არტილერია ურტყამს ტყის პირს!“

არნო ტევრში შედის და ბალახში პირქვე ემხოზა.

როგორ მოიქცეს? აქ თუ დარჩა, შეიძლება თავისიანების ცეცხლქვეშ მოყვეს!

ყუმბარები ტყის პირის გასწვრივ ეცემიან, თანდათან უფრო შორს და შორს. ჩანს, ჩვენებმა ზუსტად არ იციან, სად არის განლაგებული გერმანელთა ქვეშეხები და ტყვიამფრქვევები. სწორედ ამას ამბობდა მამაც. პოლა, მის მიერ შედგენილი რუკა ჩვენებისათვის ახლა უკიდურესად საჭიროა.

არნო მალალ გვიანრებში მიხობავს. ირგვლივ თითქოს ბინდი დგას — ერთმანეთში გადახლართულ ტოტებში მზის სხივები ვეღარ ატანენ. ბოლოს ბიჭი თავს ფრთხილად სწევს მალლა. ამჟამად მის წინ განათებული არეა. მაშასადამე,

ტყისპირი სულ ახლოსაა, რაღაც ოცი-ოცდაათი მეტრი, თუ იქნება.

კიდევ რამდენიმე მეტრი ხობვით და... არნოს ლაპარაკი ესმის. მის თვალწინ გერმანელი ჯარისკაცები ირევიან. მოჩანს თავშესაფრის ჩაბნელებული შესასვლელი. ცოტა უფრო შორს შენიღბული ქვეშეხი დგას.

ბიჭი პირდაპირ გერმანელთა ბანაკში მოხვდა!

მაგრამ იგი როდი იბნევა. ასეთი რამ ხომ მოსალოდნელი იყო.

საჭიროა უკან გატრიალდეს, შემდეგ კი ბატარეას შემოუაროს.

არნომ კარგა მანძილი დაფარა უკან ხობვით.

გერმანელთა წამოძახილები ახლა მხოლოდ კანტიკუნტად ისმის. არნო კი დადლილია; გააკარულ ხელისგულებზე, იდაყვებზე, მუხლებზე სისხლი ჟონავს.

ჩანთამ ხომ გული გაუწყალა — ხელს უშლის ხობვაში. სცადა, კარგად მიემაგრებინა ზურგზე, მაგრამ მალე მოუფამფალდა ლუდღი. მაშინ ადგა და მუცელზე მიიკრა ქამრით.

მიხობავს და მიხობავს, ტყის პირი

კი არა და არ ჩანს. რას უნდა მოასწავებდეს ეს? ნუთუ გეზი დაკარგა?

ბიჭს გულში შიში გაჰკრავს. არა, თავის თავზე როდი შიშობს, იმედი აქვს, როგორც მამამ ასწავლა: გერმანელებს ახლაც გააცურებს. ეტყვის: გზა ამებნა, ძროხა დაბმული დაგტოვე (თუ არა გჯერათ გამომყევით და ნახავთ!), მე კი ტყიდან გამოსასვლელს ვეძებდი, ჯარისკაცები დავიხახე, შევშინდი და ბალახში ჩავწევიო... არა, თავის თავზე არ შიშობს — რუკას, სულ ერთია, ვერ უპოვინან. მაგრამ უბედურება ის არის, თუ მათ ჩაუვარდა ხელში, რუკას ვერ მიიტანს ჩვენებთან. ისინი შეტევაზე გადავლენ და ბევრი მათგანი ტყუილბურალოდ წააგებს თავს. ჯერ ფაშისტების შენიღბული საცეცხლე წერტილის განადგურებაა საჭირო... ასეთი იყო მამის გეგმა.

„ნუთუ მართლა ამებნა გზა?“

არნო აქეთ-იქით იყურება. თითქოს ყველაფერი რიგზეა: მზე მთელი დღე მარცხნივ იყო და ახლაც მარცხნივაა.

(გაგრძელება იხ. მე-18 გვ.)





შედეგად



შედეგად (პ. ჩაიკოვსკის საპეპეო ბა-
ლეტის მიხედვით) უწყობდნენ თავიანთ თავს
ესტონეთის ერთ-ერთი უკეთესი საინტერესო
თავითმომქმედი კოლექტივის წევრი გოგო-
ბიძები. ეს კოლექტივი ცხრა წლის წი-
ნათ შეიქმნა. იმ დროს იგი სულ თავისთავად
წავს აერთიანებდა, ამჟამად კი ნორჩ მსახი-
ობთა რიცხვი საყოველთაოდ აღწევს. ისინი რუს-
კულტურის მხატვრული თავითმომქმედი ოლიმ-
პიადათა ორგანიზაციის ლაურეატები არიან. ამ ორი
წლის წინათ მათ წარმოდგინეს საერთომომქმედი
ანი ბალეტი „ბუის ბუა“, რამაც მთელი ესტონე-
თი მოიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა.
ამ წარმოდგენილი სურათები გადაღებულია
ბალინის 46-ე საშუალო სკოლის საფრთხელ
დარბაზში. სწორედ ამ სკოლის მოსწავლეები
არიან ნორჩი მსახიობები.

ფოტო გუსტავ პერმანისა





ხარაზი

მე პოლი. III კლასი.

ჩვენი ქუჩა



კ. მარეხის ს.ხ. ს.ე. ს.ბ.
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბი.ლიბოთაძე



12.110



გზაჯარა ჩანთა

(გაგრძელება. იხ. მე-15 გვ.)

აი, ის ჭალაც, ნამდვილად ის არის, მამა რომ ეუბნებოდა. ჰო, ასეა ხოლმე — რომ აფორიაქდები, შიშიც შემოგეპარება...

ბოლოს, როგორც იქნა, არნო ტყის პირამდე მიხსნდა და არაქათამოღეულს თავი უღონოდ დაუკარდა ხელებზე. მაგრამ წუთიერმა შესვენებამაც კი ძალ-ღონე შემატა. თავი ფრთხილად ასწია და მიიხედ-მოიხედა. თურმე ტევრის ყველაზე ვიწრო ალაგას წვეს. სადღაც ახლოს ნაკადული მიჩხრიალებს.

ხედავს არნო — მის წინ მინდვრის ყველაზე მაღალი ნაწილი გერმანელებით არის მოფენილი. ზოგი ავტომატმომარჯვებული წვეს სათვალთვალო პუნქტებთან. ჭალაკის ორივე მხარეს, ერთმანეთისაგან ასი-ასორმოცდაათი მეტრის დაშორებით დგანან ბელტებით დახურული ბუნკერები. მათში, ალბათ, ტყვიამფრქვევები უდგათ.

მინდვრის მიღმა მეორე ჭალა მოჩანს. არნო მზერას ძაბავს, მაგრამ იქ სიცოცხლის ნიშანწყალსაც ვერ ამჩნევს. ტყეა და მეტი არაფერი.

მაგრამ იმ ტყეში წითელი არმიია — ასე თქვა მამამ.

არ გინდა იქამდე მიაღწიო? საკმარისია, თუნდაც ერთმა გერმანელმა მოგკრას თვალი, რომ მორჩა — ტყვიის წერა გახდები.

არნომ სწრაფად მოისაზრა, როგორ მოიტყეს: ნაკადული უშველის, მურყნარით დაბურული ნაკადული! იგი მინდვრის მთელ სიგრძეზეა გაჭიმული და იმ ტყემდე აღწევს, ჩვენები რომ არიან.

არნო ტევრიდან გამოსხსნა, ფერდობზე ჩასრიალდა და მურყნარში ამოყო თავი. მამინევე ნაკადულში შევიდა, ოთხზე დადგა და დინების საპირისპიროდ გასწია. წყალი პირისახემდე სწვდებოდა.

თავდაპირველად ეაშა გრილი წყალი, გახურებული მუხლები და ხელისგულები გაუგრილა, დაღლილობა გაუქარვა, მაგრამ, რაც უფრო წინ მიიწვედა, ნაკადუ-

ლი მით უფრო ცივი ხდებოდა და სხეულს უთოშავდა.

არნო მაინც ჯიუტად განაგრძობს ოთხზე სვლას და აჰა, ბოლოს, ტყის პირიც გამოჩნდა — ტყე გამეჩხრდა.

ამ დროს ბიჭს დაუძლეველი სურვილი ეუფლება: უნდა ამოვიდეს წყლიდან, მეტი ილაჯი აღარა აქვს. კიდევ წამიც და, ხელები, კისერი გაუშეშდება, წყალში ჩაემხობა და ვეღარც წამოდგება.

ბევრი არ უფიქრია, წელში გაიმართა და ბარბაცით გასდია ნაკადულის სილიან ნაპირს. ტანსაცმლიდან წყალი წურწურით სდის, ფეხები უკანკალებს, მუხლები ეკეცება. რის ვაი-ვაგლახით განაგრძობს გზას. მოსალოდნელი საფრთხე აღარც კი ახსოვს — ყინულივით ცივმა წყალმა თითქოს აზროვნებაც ჩაუხშო.

საბედნიეროდ, სიარულმა სხეული გაუთბო, გონსაც მოეგო. არნო წელში იხრება და ცდილობს ირბინოს. ფეხები ძლივს ემორჩილებიან.

უეცრად ჭალის პირას რაღაც გატაკცუნდა და მყისვე ავტომატი აკაკანდა.

„მე მესერიან...“ — გაუელვა თავში. არნო უფრო იხრება და ტორტმანით მირბის ლიბ ქვებზე.

ისევე — ავტომატის ჯერი. არნოს თავზე მურყნის ფოთლები აცვივა, სახეში ხრეში ეყრება. მაგრამ ჯერ კიდევ უვნებელია. ეტყობა, ბუჩქები ხელს უშლიან მტერს ზუსტად სროლაში.

მაგრამ აი, ავტომატი ისევე აკაკანდა. არნო წაიქცა, შუბლი ქვეს დაარტყა... გაუნძრევლად იწვა.

სროლა შეწყდა, ალბათ, იფიქრეს — მოვახვედრეთო.

ჭალიდან ორი მწვანეგვიმნასტურიანი ჯარისკაცი გამოვიდა. ისინი ხოხვით გამოსრილდნენ უძრავად მწოლიარე ბიჭუნასაკენ...

როცა გონს მოვიდა, არნო მიხვდა, რომ ძელმიწურში იმყოფებოდა. ნაცრისფერ სამოსში იყო შეფუთული და ზეთისხილის რტოვებით დაგებულ ნარზე იწვა.

წამოჯდა. თურმე ფართო, ჯარისკაცის გიმნასტურა აცვივა, საბნად მაზარა ახურავს, შუბლი შეხვეული აქვს. უცებ, იგრძნო, რომ რაღაც აკლდა, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი რამ.

— სად არის ჩემი ჩანთა? — იყვირა არნომ და ზეწამოიჭრა.

მამინევე მასთან მხედრულად ჩაცმული ორი ქალიშვილი გაჩნდა.

— რა იყო, რა მოგივიდა? — ჰკითხა ერთმა მათგანმა სუფთა ესტონურით.

არნო გაოცებული მიაჩერდა ქალიშვილს. გაახსენდა, რომ ერთხელ მამა წითელი არმიის ესტონური ნაწილების მესახებ უყვებოდა. კი მაგრამ, როგორ მოხვდა ამათთან? მის ხომ ესროლდნენ... მის ირგვლივ ხომ ტყვიები წუოდნენ!

— სად არის ჩემი ჩანთა? — იკითხა.

— აჰა, შენი ჩანთა! — სანიტარმა ქალიშვილმა ბიჭს სველი ჩანთა გაუწოდა.

— ახლავე მიმიყვანეთ ყველაზე უფროსთან! — სერიოზული, მბრძანებლური კილოთი მოითხოვა არნომ.

ქალიშვილმა გაიცინა:

— იგი უკვე გელოდებოდა. ბრძანა, როგორც კი გაიღვიძებს, მომიყვანეთო.

არნოს არმიული შარვალი და ფართო ქამარი მისცეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი, მაგრამ ფეხშიშველი არნო ხანშიშესული სამხედრო კაცის წინ იდგა. მან არნოს სკამი შესთავაზა.

არნო მაგიდაზე დებს ჩანთას და აჩქარებით იწყებს მის გახსნას. ზურგზე ხელებდაწყობილი მეთაური იქვე დგას და ცნობისმოყვარეობით უყურებს ბიჭის ფაცურს.

არნოს ჩანთიდან ზედიზედ ამოაქვს საკარაქე, ქაშაყიანი ქილა და, ბოლოს, მრგვალი, ოდნავ შეჭყლეტილი პატარა კოლოფი. კოლოფს ხუფს ჰხდის და იქიდან პურის ყუას იღებს.

მეთაური თვალებს არ უჯერის, როცა ბიჭი პურს ორად ტეხს და, ნამცეცხვთან ერთად, მაგიდაზე პაწია გრაგნილი ვარდება. არნო ფრთხილად შლის გრაგნილს და მეთაურის წინ, მაგიდაზე დებს.

— მამაჩემმა გამოგიგზავნათ. — ამბობს იგი. — აქ აღნიშნულია გერმანელთა უმთავრესი საცეცხლე წერტილები სოფელ ორულასთან. მამამ თვითონ დახაზა ეს რუკა, რათა თქვენმა ქვემეხებმა იცოდნენ, სად ურტყან. — ბოლოს ამყად დასძენს: — მამაჩემი წინათ არტილერისტი იყო.

ჭადარა ოფიცერს სახეზე კმაყოფილება და ცნობისმოყვარეობა ეხატება. სქემას ხელში იღებს და ყურადღებით ავირდება. შემდეგ მაგიდაზე გაშლილ დიდ რუკაზე იხრება.

არნო ხედება, რომ მეთაური სქემასა და დიდ რუკას ერთმანეთს უდარებს.

ბოლოს მეთაური წელში იმართება და გაკვირვებით უცქერის თავშეხვეულ ბიჭუნას.

— როგორ მოახერხა მამაშენმა ყოველივე ამის გაგება?

— ამხანაგებთან ერთად ტყეში იმალებოდა და იქიდან ზევრავდა.

— ვინ არიან ის ამხანაგები?

— მამაჩემი პარტიზანია. ისინი ხუთნი არიან.

— ამჟამად სად არის მამაშენი?

— შინ იმალება. წუხელ დასჭრეს. აი, ამ განაპირა ბატარეას დასაზვერად ყოფილიყო. კინალამ ხელში ჩაუვარდა გერმანელებს.

მეთაურისთვის ყველაფერი ნათელია.



იგი ტელეფონით ვილაცას მოკლე-მოკლე ბრძანებებს აძლევს, თან სქემაზე თითს დაატარებს — ერთი საცეცხლე წერტილიდან მეორეზე. როცა მთელი სქემა ასე შემოიარა, ყურმილი დადო და ჩიბუხი თამბაქოთი გატენა. შემდეგ ასანთს გაჰკრა და არნოსკენ მოტრიალდა.

— ეს რუკა ჩვენთვის მართლაც ძალზე საჭირო იყო. — ამბობს მეთაური, არნოსთან მიდის, მხარზე ხელს უთათუნებს. — მალე გაიგებ, როგორ დავნაყავთ ფაშისტების ბატარეებს.

ბიჭმა წარმოიდგინა, დედა როგორ ნაყავს ხოლმე მოხარულ კარტოფილს. ბახ! — და სამი-ოთხი თავი დაჭყლეტილია. ბახ-ბახ! — და მთელი კარტოფილი ფაფადაა ქცეული.

— როგორ მოაღწიე ჩვენამდე? ან რა გქვია? მე არნოლდ კუუსაი ვარ.

უფროს და უმცროს არნოს შორის გაცხოველებული საუბარი იმართება, რასაც შიგა და შიგ ტელეფონის ზარი წყვეტს. პასუხის გაცემისას მეთაური კვლავ დახედავს ხოლმე პაწაწინა რუკას.

მერე კი, იცოცხლეთ, დაიწყო ბრძოლა! ის-ის იყო არნომ ისაუზმა და... ავრი-აღდნენ ჩვენი ქვემეხები, ალაპარაკდნენ ჰიტლერელთათვის თავსარდამცემ ხმაზე!

გერმანელთა ბანაკი უფრო იმის გამო მოიცვა პანიკამ, რომ საბჭოთა ქვემეხებმა სწორედ ყველაზე გულმოდგინედ შენიღბულ, გასაიდუმლოებულ საცეცხლე წერტილებს დასცხეს თავიდანვე.

როცა არტილერიამ თავისი საქმე გააკეთა, ტანკებთან ერთად, ტყიდან ქვეითი ჯარი გადავიდა იერიშზე.

ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. პურის ყუაში ჩამალული რუკის წყალობით, გერმანელთა თავდაცვის ზღუდე გაცამტვერდა. ფაშისტები გარბოდნენ, ბრძოლის ველზე ტოვებდნენ თოფ-იარაღს; ზოგიც ხელემაწეული გამოდიოდა ბუნკერებიდან და ტყვედ ბარდებოდა.

ორულას განთავისუფლებიდან ცოტახნის მერე ნაკადულის პირას მუქ-მწვანე „ვილისი“ გამოჩნდა.

მძლოლს გვერდით არნო უჯდა. ჯერ კიდევ გაუმშრალი ტანისამოსი მუხლებზე ეწყო. თვითონ ჯარისკაცის ფორმა ეცვა. ფეხთ პრილა ჩექმები შევნოდა. ისინი სანიტარმა ქალიშვილმა შეურჩია.

მანქანა ტყის პირას გავიდა და მარჯვნივ მოუხვია. მალე შერეული ტყე გადავდა, დაიწყო არყნარი. მძლოლმა მანქანა იქით გააქროლა, საითაც არნო უთითებდა. რამდენიმე ასი მეტრი რომ გაიარეს, არნომ გაჩერება ითხოვა.

მძლოლმა დაამუხრუჭა „ვილისი“. უკანა დასაჯდომი ადგილიდან ორი ავტომატიანი მებრძოლი გადმოსტა. ისინი

მეთაურმა მცველებად გამოაყოლა არნოს: ხომ შეიძლება, ტყეში გაქცეული გერმანელები იმალებოდნენ.

არნო წინ გაუძღვა. გადაჭრეს ასო, შემდეგ — წელამდე წამოზრდილი გვიმრა, გაძვრნენ ხშირ ტევრში.

არნო დროდადრო ჩერდებოდა, მიმოიხედავდა, სწორად მივდივართ თუ არაო. დიახ, სწორად მიდიოდნენ.

უცერად წინიდან ბლავილი მოესმათ. ეს წაბლა ბლაოდა.

არნო თავქუდმოგლეჯილი გაიქცა იქითკენ. შორიდანვე დალანდა ბურქებში გახლართული ძროხის ძვალტყავა ქედი. მიეჭრა, მოეფერა, ბურქებიდან გამოხსნა.

სულ მალე კი ასეთ სურათს იხილავდით: სოფლისაკენ მიმავალ მანქანაში ერთ-ერთ მებრძოლთან ერთად იჯდა არნო. შორს კი, უკან დინჯად მოაბიჯებდა მეორე მებრძოლი, რომელსაც საბელით ძროხა მიჰყავდა.

ასეთი იყო მეთაურის ბრძანება: ერთმა მებრძოლმა არნო დაუყოვნებლივ მიუყვანოს დედ-მამას — ისინი ხომ გულგადაღეულები ელოდებიან შვილს; მეორე მებრძოლმა კი დაე აუჩქარებლად მიჰვაროს მათ წაბლაო.



თეატრი



ბიჭმა თავის მეგობარს -
სათაყვანო ძმობილს
დაუმიზნა, „ესროლა“
სათამაშო თოფი.
ჩაიკეცა დაჭრილი,
გაიშოტა გულადმა,
ნატყვიარზე იტაცა
ხელი (ფილმში უნახავს).
და გოგონა, რომელიც
დედის როლს თამაშობდა,
მოკლულ შვილთან მიიჭრა,
მწუსარება ახრჩობდა.
დედის გული ეწვოდა,
დედის გული სტკიოდა...
და ნამდვილი ცრემლები
სდიოდა და სდიოდა.
ცრემლში ირეკლებოდა,
საყვედურის წადილით, —
ჯარისკაცი ნამდვილი
და შაშხანა ნამდვილი;
ეს ცრემლები იტევდა
ათას დედის კაემანს, —
ყველას,
ვინც კი ოდესმე
ბრძოლის ველზე დაეცა.

ფეხბურთი

აქ მოთავსებულ სპორტთაგან აღგზავლილია ბევრი მხევენი — თომასი
და მარგუსი თომას და მარგუსი გუბარია. ბაღის მხ. მუსიკალური
საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეები არიან. მათ ერთნაირად ახ
მინათ ერთი და იგივე სასოლო სახელმწიფო აქრობენ. ერთნაირი ჩან
სიბი ბავთ თვითონაც ისე აკვანან ერთმანეთს. შეიძლება ერთმანეთში
შეგუშალოთ მარგუსი, მუსიკაში მათადინებოდა რომ შეუდგებოდა ხოლმე
მეზიწვე მიხვლებით რომელია მარგუსი და რომელია თომასი. მარგუსი
რომილზე უკავან თომასი კი ვითლინოდა მამან მუსიკაში ბავრი მისა
დინებოდა უფრო ალვილი რომელია ნორე პინისტო და მავიოლინეთა
სპორტთაგანის კონკურსებში მოხვედრა მით უმეტეს ამ კონკურსების
ლაურეატის წოდების მოპოვება კიდევ თომასი და მარგუსი ნორე მუსი
კისათა სპორტთაგანის კონკურსების ლაურეატები არიან.

ფოტო გუსტავ ბერმანისა.

ოლივი სარი

ზოგჯერ

კისური მალა-მალა,
თვლები ფართო, მზიანი.
ზებრას ქურთუკიც, შარვალიც
აცვია ზოლებიანი.

არავინ არის მასავით
სხვა, მოდას გადაყოლილი...
მალაზიაში იყიდა
ზოლებიანი ქსოვილი.
მაიზუნები ქირდავენ:
ზებრის რა უნდა ვიწამოთ, —
დღისით და მზისით, ამ სულელს.
აცვია ტრელი პიჟამო.

თარგმანა ბ. მახარაშვილმა

ზღვა

ქაფქაფა ტალღები...
ზღვა — ფაფარაყრილი...
შორიდან ხომალდებს
მოელის ნაპირი.

ხომალდებს შუქურა.
ხელს უქნევს ღამეში:
— იჩქარეთ, დაბრუნდით
მშობლიურ მხარეში!
ნიინ პიტა. IV კლასი.





კოცონთან

უცხ

30 წი.

VII კლასი.



306

გარდაცემული

30 წი

პრანსი.

VII კლასი.



ხსიყვარული მარცხი



მოთხრობა

მიკი მშიერ-მწყურვალ დაბრუნდა სკოლიდან.

ბებიამ სადილი გამოუტანა, თვითონაც მიუჭდა მაგიდას და სიყვარულით შეაქებდა შვილიშვილს, ხარბად რომ შეეჭყოდა საჭმელს.

— მშიერი მგელივით ჭიჭენი ხორცს, ასე რა გემო უნდა ჩაატანო, აი, დანით დაჭერი და უფრო შეგერგება, — უთხრა ბებიამ შვილიშვილს.

მაგრამ მიკს ამ მშიერი კუჭზე და-

ნის ტრიალის თავი სადა ჰქონდა, ერთ სულზე იყო, შეეყლაპა საჭმელი! თანაც, მისი ფიქრით, ბებიას რაღაც ეშლებოდა, თორემ ჰკუთამყოფელი კაცი მიხვდებოდა, რომ ახლა მიკის დარიგების დრო არ იყო.

— აბა, იქნებ მითხრა, რა მოხდა დღეს სკოლაში, რა ახალი თქვენთან?

— ახალი? რა უნდა იყოს?!

— შენი საქმეები როგორა მიდის?

— კარგად. მასწავლებლებს დღეს არ გამოუშინებია.

— ხომ არ გაგიბრაზებია ვინმე?

— არა, არავინ...

— გაკვეთილებზე ხომ არ ეშმაკობდი?

— მე?

— ხომ არ ლაპარაკობდი?

— ერთი-ორჯერ გადაუჭირჩულე ამხანაგს... სულ ეს იყო.

ბებიამ გაოცებული შესცქეროდა ჭამით გართულ მიკს.

— საინტერესოც არაფერი მომხდარა?

ბებიას ძალიან აინტერესებდა სკოლის ამბები. მიკისგან უნდოდა ყველაფერი დაწვრილებით გაეგო. ასე კითხვა-კითხვით ბევრი რამ გაარკვია უკვე. ხანდახან თითქოს ყველაფერი გასაგები ხდებოდა მისთვის, მაგრამ

მეორე წუთში კვლავ ერთმანეთში აირეოდა მოკვლები... ამ დროს ცდილობდა ეს დაფანტული აზრები და სიტყვები ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა როგორმე.

მიკმა ჰერს მიაშტერა თვალები და შეეცადა გაეხსენებინა.

— არა, დღეს არაფერი არ მომხდარა — თქვა და მაგიდიდან წამოდგა.

— ო, გამახსენდა, — წამოიძახა

უცხად, — იცი, ეკნო რომ ერთ გოგოსთან დადის?

— გოგოსთან დადის? სად დადის. რატომ დადის! როგორ გავიგოთ ეგ? მიკს უნდოდა თავი აერიდებინა ამ კითხვისათვის და ბებიას ნათქვამზე სიცილით აიჩეჩა მხრები.

— იქნებ ვამაგებინო, მიკ, რაშია საქმე?

— ჩვეულებრივად დადის. რა, არ იცი, როგორ ხდება ეს ამბავი?

— მართლა არ მესმის, თორემ რაღაზე გკითხავდი?

— იცი, რა... ისა, ეკნოს ერთი გოგო მოსწონს... ჰო, რა...

— კარგი, კაცო!..

— ჰო, აბა...

— საიდან იცი, რომ მოსწონს, ეკნომ გითხრა?

— არა, მაგრამ ეტყობა, რომ მოსწონს.

— ?..
— ეკნო წამდაუწყუმ სთხოვს ხოლმე იმ გოგოს რვეულებს. ისიც ამლევს. ეკნო რომ მადლობას უხდის, გოგო გაეპრანჭება და ისე უპასუხებს: — „არაფერს, არაფერსო“. აბა?!

— მერე რა მოხდა! ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ... — თავს აქნევს ბებიამ.

— დღეს კი ეკნომ იმ გოგოს წერილი მისწერა, სასიყვარულო წერილი.

— სასიყვარულო წერილი? — გამოცოცხლდა ბებიამ. — ო, ეს უკვე სხვა საქმეა.

— ჰოდა, შენ კიდევ არ გჯეროდა! მიკი გახარებულა, ბებიამ რომ გაუგო.

— მაინც რაო, რას სწერდა იმ წერილში?

— ის წერდა: „ვინც ამ წერილს წაიკითხავს, ის ბრყვია და სულელიო“.

ბებიამ გაოცებისაგან ხელები გაასავსავა, მაგრამ მიკმა განაგრძო საუბარი და სიტყვის თქმაც კი არ აცალა მოხუცს.

— ის გოგო რომ არ ჰყვარებოდა, ეკნო იმ წერილს სულ სხვა ვინმეს გაუგზავნიდა, მაგრამ მან სწორედ იმ თავის-შაა-რი-ი-კეს გაუგზავნა.

გაუხუნარი ფურცლები

ძვირფასო რედაქცია! ძალიან გვაინტერესებს უძველესი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი — რა სახით მოაღწიეს მათ ჩვენს დრომდე და ვინ აღმოაჩინა ისინი, — გვწერენ უფროსკლასელი მოსწავლეები: თბილისელი თ. ჭაფარიძე, ქუთაისელი დ. მარდაღიშვილი.

გთავაზობთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის საუბარს ამ თემაზე.

ეგვიპტეში, ქალაქ კაიროში, პალესტინელთა სინაგოგის გენიზაში (ხელნაწერთა საწყობში) აღიპოვეს ინახებოდა ბევრი ძველი ხელნაწერი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პალიმფსესტები იყო.

ძველად საწერ მასალად ხმარობდნენ საგანგებოდ დამუშავებულ ტყავს — ეტრატს. ეტრატს კვერცხის გულით პოხავდნენ და ამიტომ თავიდანვე დაპკრავდა მოყვითალო ფერი, მაგრამ მას იშვიათი გამძლეობა ახასიათებდა და ამის წყალობით არის, რომ დღემდე შემოგვვინახა ბევრი ფასდაუღებელი ძეგლი.

ეტრატის დამზადება ძნელი იყო და ამიტომ ზოგჯერ ძველი წიგნის ფურცლებს ფხეკდნენ, ძველ ნაწერს შლიდნენ და ეტრატს ხელახლა იყენებდნენ საწერად, თუმცა ძველი ნაწერის კვალი ზედ მაინც რჩებოდა. სწორედ ასეთ ხელნაწერს ეწოდება პალიმფსესტი.

სხვა ხელნაწერთა შორის კაიროს გენიზაში ერთი ქართულ-ებრაული პალიმფსესტიც ყოფილა დაცული. მის ფურცლებზე პირვანდელი ქართული ნაწერი მსხვილი ასომთავრულით ყოფილა გამოყვანილი, ზემოდან კი გარდიგარდმო მოუთავსებიათ წვრილი კვადრატული ასოებით ნაწერი ებრაული ტექსტი.

XIX საუკუნის ბოლოს კაიროს გენიზიდან ჩუმ-ჩუმად დაუწყიათ ხელნაწერების გატანა და ყიდვა-გაყიდვა. ამ ხელნაწერების დიდი ნაწილი ინგლისში ოქსფორდის ბოდლეიანაში

(ბოდლეის ბიბლიოთეკაში) და კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოხვდა, დანარჩენი ნაწილი კი ევროპისა და ამერიკის სხვადასხვანაირი კოლექციონერების ხელში აღმოაჩინეს. ზემოხსენებული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ერთი ფურცელი (ებრაული ტექსტის მიხედვით — ორი ფურცელი) ოქსფორდის ბოდლეიანაში მოხვდა, ორი ფურცელი (ქართული ტექსტის ოთხი ფურცელი) კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სამი პატარა ნაგლეჯი კი — ბრიტანეთის მუზეუმში.

1897 წლის ზაფხულში პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პრივატ-დოცენტმა, მაგრამ უკვე სახელმძღვანელო მეცნიერმა ნიკო მარმა ოქსფორდიდან მიიღო იქ დაცული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ორი გვერდის ფოტოტიპური სურათები. ისინი მარისათვის გამოეგზავნა დოქტორ ა. ნიშაუერს. მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, რომ ნიკო მარმა ამ პალიმფსესტს სათანადო ყურადღება არ მიაქცია: შეიძლება ძირითად ნაწერად ებრაული მიიჩნია, ქართული კი უფრო გვიანდელად და უმნიშვნელოდ ეჩვენა, ან იქნებ სხვა საქმით გატაცებულმა ვერ მოიცალა და პალიმფსესტის ქართული ტექსტის გაშიფრვა სამერმისოდ გადადო. ასე იყო თუ ისე, ფოტოსურათები, რომლებზეც პალიმფსესტის ორივე გვერდი მშვენივრად იყო გამოსული, მარმა ებრაული ტექსტის შესასწავლად გადასცა თავის კოლეგას —


პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს, შემდგომში კი აკადემიკოსს, ცნობილ ჰებრაისტს პ. კოკოვცოვს.

პ. კოკოვცოვმა შეისწავლა პალიმფსესტის ებრაული ტექსტი, რომელიც პალესტინური (იერუსალიმური) თალმუდის ნაწყვეტები აღმოჩნდა. მკვლევარმა იგი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XI საუკუნის დამლევს მიაკუთვნა და თალმუდის ხელნაწერთა შორის უძველესად მიიჩნია. რადგან მეცნიერი მხოლოდ ფოტოსურათების მიხედვით მსჯელობდა, თავდაპირველად მას შეცდომით მოეჩვენა, რომ ქართული ტექსტი ებრაულზე გვიანდელი იყო, მაგრამ მალე თვითონვე მიხვდა შეცდომას და უფრო ადრინდელად ქართული ნაწერი აღიარა.

პალიმფსესტის ებრაული ტექსტი ფოტოტიპური სურათებითა და გამოკვლევითურთ პ. კოკოვცოვმა გამოაქვეყნა 1899 წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური განყოფილების ორგანოში. ამ შრომის ამონაბეჭდის ერთი ცალი ავტორმა აჩუქა V კურსის სტუდენტს ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც ის ასურულს ასწავლიდა. ხელნაწერის ქართული ასოების დიდებული მონახულობა სამუდამოდ აღიბეჭდა მომავალი დიდი მეცნიერის მეხსიერებაში, მაგრამ მისი წაკითხვა ი. ჯავახიშვილს მაშინ ჯერ კიდევ არ შეეძლო. პალიმფსესტის ქართული ტექსტი კარგა ხანს უყურადღებოდ დარჩა.

გავიდა ორი ათეული წელი. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი, რომელიც იმათათვე იქცა ქართული მეცნიერების მძლავრ კერად, ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრად. ივანე ჯავახიშვილი გატაცებით შეუდგა ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების დამხმარე დარგების კვლევას, როგორცაა ეპიგრაფიკა-პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ქრონოლოგია და ნუმისმატიკა. მისივე სიტყვით, „ამ დამხმარე სამეცნიერო დარგების შესწავლის დროს ბევრი საყურადღებო საკითხი წამოიჭრა და ზოგიერთი გადაწყდა კიდევ. ზოგი საკითხის გაღრმავებულმა დაკვირვებამ ისეთი შესაძლებლობა წარმოშვა, რომლის შესახებ წინათ ქართველ მეცნიერს მხოლოდ ოცნება შეეძლო“.

ქართული პალეოგრაფიის საკითხებზე მუშაობის დროს ი. ჯავახიშვილმა განიზრახა დაედგინა, როდის შეიკვალა ამა თუ იმ ასოს მოხაზულობა ქართულ ანბანში, რათა შემ-



დეგ ეს ნიშნები გამოყენებინა უთარილო ძეგლების დასათარიღებლად. სახელდობრ, ამ მხრივ მეცნიერის ყურადღება მიიპყრო ასომთავრულმა ბ ასომ, რომელსაც უძველეს წარწერებში თავი შეკრული ჰქონდა, VII საუკუნიდან კი უკვე თავგახსნილი იწერებოდა. ეს პალეოგრაფიული დაკვირვება სარწმუნო საბუთად რომ ქვეულიყო, მკვლევარმა გადაწყვიტა შეემოწმებინა ყველა თარიღიანი ან ქრონოლოგიურად განსაზღვრული წარწერა და ხელნაწერი, რომლებიც კი X საუკუნეზე უწინარეს პერიოდს მიეკუთვნებოდა. ასეთები იმ დროს არც ისე ბევრი იყო ცნობილი.

სწორედ ამ საკითხის შესწავლისას ივანე ჯავახიშვილს მოაგონდა ის ქართულ-ებრაული პალიმფსესტი, რომლის ფოტოტიპური სურათი პ. კოკოვცოვის გამოკვლევას ერთვოდა და ქართველ მეცნიერს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჰქონდა ნანახი. რაკი პალიმფსესტის ებრაული ტექსტი XI საუკუნით თარიღდებოდა, ქართული კი მას წინ უსწრებდა, ცხადია, ქართული ტექსტი X საუკუნეზე გვიანდელი არ იქნებოდა. მაგრამ სახელდობრ რომელ საუკუნეს ეკუთვნოდა იგი და ახასიათებდა თუ არა ასოთა მოხაზულობის მხრივ ისეთი სიძველის ნიშნები, რასაც ივანე ჯავახიშვილი საგანგებო ყურადღებას აქცევდა? ამის გასარკვევად საჭირო იყო პალიმფსესტის გულდასმით შესწავლა პ. კოკოვცოვის გამოკვლევაზე დართული ფოტოსურათების მიხედვით.

ივანე ჯავახიშვილმა თავისი ბიბლიოთეკა პეტერბურგიდან წამოსვლისას რკინიგზით გამოგზავნა და ყველაფერი უკვალოდ დაეკარგა. ამიტომ ახლა უნივერსიტეტის წიგნთსაცავს მიმართა პ. კოკოვცოვის ნაშრომისათვის. საბედნიეროდ, უნივერსიტეტის წიგნთსაცავში აღმოჩნდა საჭირო ტომი, რომელიც ბატონმა ივანემ შინ წაიღო.


ღ ყ ზ
 9 4 ყ
 9 4 3

დიდ მეცნიერს დინჯი, გულდამჯდარი მუშაობა სჩვეოდა. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, იგი საზეიმოდ გამოწყობილი მიუჯდებოდა ხოლმე თავის სამუშაო მაგიდას და მიეცემოდა დაძაბულ ფიქრებს. 1922 წლის მიწურულშიც, დეკემბრის

ერთ საღამოს, ასე მიუჯდა იგი თავის მაგიდას და შეუდგა ქართულ-ებრაული პალიმფსესტის შესწავლას ფოტოტიპური სურათების მიხედვით.

პირველი დაკვირვებები ის თანავე მკვლევარმა შენიშნა, რომ ხელნაწერში ყ და ვ ასოები თავშეკრული იყო, ასეთი მოხაზულობა კი მათ უძველეს ქართულ წარწერებში ჰქონ-

როგორც დამწერლობის პალეოგრაფიული, ისევე თვით ნაწარმოების ენის ნიშნები მათ სიძველეს ცხადყოფდნენ სრული უეჭველობით. რამდენჯერაც კი არ გადავიკითხავდი ამ ორი ეტრატის ნაჭრის ფოტოტიპის, ეს რწმენა უფრო და უფრო მიძლიერდებოდა. ჩემი სიხარული გაორკაცებული იყო, როდენ



ბოლნისის სიმონი. 498/4 წ.

დათ. მალე ბ ასოსაც მიაგნო პირველივე ფურცლის მარჯვენა სვეტის მე-9 და მე-10 სტრიქონებში. ეს ასოც, ორივეჯერ სრულიად გარკვევით თავშეკრული ჩანდა, რაც აგრეთვე ხელნაწერის დიდ სიძველეს მოწმობდა. კიდევ უფრო საყურადღებო აღმოჩნდა ტექსტი ენობრივად. სახელდობრ, ზმნებში პირის ნიშნად ნახმარი იყო უჩვეულო ხ პრეფიქსი, რომელიც მანამდე მხოლოდ ორიოდ ფორმაში იყო შენიშნული.

გახარებულმა და აღელვებულმა მეცნიერმა ერთხანს მუშაობის გაგრძელება ვეღარ შეძლო. აქ უმჯობესია სიტყვა დაუთმოთ თვითონ ივანე ჯავახიშვილს: „ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედვა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ეხლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდა! მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულიყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი.

სრული სიფრთხილით წარმოებულმა პალიმფსესტის გულდასმით წაშლილი ქართული ტექსტის ამოკითხვამ და წერილის ენის საგულისხმო, ა თუმცა განმაცვიფრებელმა, მაგრამ შორეულ წარსულში მოსალოდნელმა თვისებებმა დამარწმუნეს, რომ პირველი დაკვირვება მცდარი არ იყო და ამ ნაწყვეტების

საც გამოვარკვეე, რომ ამ ნაწყვეტებში შენახული გვქონდა დაბადების ტექსტი, სახელდობრ იერემიას XVII, 26-XVIII, 8.“

პალიმფსესტის ქართული ტექსტის რაობა რომ გაარკვია და ასაკიც დაახლოებით განსაზღვრა, ივანე ჯავახიშვილმა დააპირა ეცნობებინა ოქსფორდის ბიბლიოთეკისათვის, რომ ისინი უძველესი ქართული ხელნაწერის ნაწყვეტის მფლობელები იყვნენ, თანაც სურდა ეთხოვა, რომ გამოგზავნათ ფოტოსურათები სხვა ქართული პალიმფსესტებისა, რომელთა არსებობა ინგლისში კიდევ იყო სავარაუდებელი. მაგრამ დინჯმა მკვლევარმა თავი შეიკავა, ვიდრე თბილისში დაცულ პალიმფსესტებს არ გასინჯავდა. იქნებ ისეთივე სიძველის ხელნაწერები, როგორსაც ოქსფორდელი პალიმფსესტი წარმოადგენდა, აქვე — თბილისშიც გვქონდა შემონახული? მეცნიერულმა ალომ არც ამ შემთხვევაში უღალატა ივანე ჯავახიშვილს.

იმხანად უნივერსიტეტის შენობის ჩრდილოეთის ფრთის ერთი ნაწილი ეკავა მუზეუმს, რომელსაც ქართული ხელნაწერების მონრდილი კოლექცია ჰქონდა. საკმაოდ ბევრი ხელნაწერი მოეპოვებოდა აგრეთვე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმსაც, რომელიც იქვე გვერდით იყო მოთავსებული.

ივანე ჯავახიშვილი ჯერ უნივერსიტეტის მუზეუმს ეწვია და მის გამგეს — მსკოვან მეცნიერს მოსე ჯანაშვილს სთხოვა ეჩვენებინა პალიმფსესტები. პირველი ორი პალიმფსესტი ნუსხახუცურით აღმოჩნდა ნაწე-




რი და ბატონმა ივანემ ისინი მალე დააბრუნა უკან, რადგან ამჯერად მხოლოდ მრგლოვანით ნაწერი ტექსტები ანტიერესებდა. მესამე პალიმფსესტი სწორედ მრგლოვანი იყო. ი. ჯავახიშვილმა დაიწყო უკვე ნაცნობი პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნების ძებნა და მალე იპოვა კიდევ: ოქსფორდის პალიმფსესტის მსგავსად, ზ, ყ, ვ ასოებს თავი აქაც შეკრული ჰქონდათ. ზმნებში პირის ნიშნად აქაც ხ პრეფიქსი იყო ნახმარი... ასეთივე პალეოგრაფიული და ენობრივი სიძველის ნიშნები აღმოაჩნდა მეოთხე და მეხუთე პალიმფსესტსაც. შემდგომში ერთი ასეთივე პალიმფსესტი გამოვლინდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში დაკულ ხელნაწერთა შორისაც.

ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი პალიმფსესტების, როგორც ახალი, ისე ძველი ტექსტი ქართულია, ოღონდ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შრიფტით ნაწერი. ზოგ ხელნაწერში პალიმფსესტს მხოლოდ ფურცლების ნაწილი წარმოადგენს, ზოგი კი მთლიანად პალიმფსესტია.

მთლიანად პალიმფსესტია, მაგალითად, ერთი 338 გვერდიანი ხელნაწერი, რომელიც თავის დროზე ისტორიკოს თედო ყორღანიას საკუთრება ყოფილა და მას შეუწირია საეკლესიო მუზეუმისთვის, რასაც გვაუწყებს წარწერა 213-ე გვერდზე: „ეს ძვირფასი ხელნაწერი შემიწირავს თბილისის საეკლესიო მუზეუმისათვის. თ. ყორღანია“. უკანასკნელი გვერდის მარცხენა კიდეზე კი მასვე მიუწერია: „წავიკითხე. თ. ყორღანია. 1885 წ.“. საიდან მოხვდა ხელნაწერი თედო ყორღანიას ხელში, ცნობილი არაა. 1908 წელს მანვე აღწერა ეს წიგნი საეკლესიო მუზეუმის სხვა ხელნაწერებთან ერთად.

1921 წელს საეკლესიო მუზეუმის ქონება ფნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმს გადაეცა და ყორღანიასეული ხელნაწერი იქ მოხვდა. შემდეგ მან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში გადაინაცვლა, საბოლოოდ კი სხვა პალიმფსესტებთან და უძვირფასეს ხელნაწერებთან ერთად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიდო ბინა (A ფონდი, № 737).

ამ პალიმფსესტის პირვანდელი ქართული ნაწერი ზოგან მრგლოვანია, ზოგან — ნუსხური. მრგლოვანით ნაწერი ტექსტი შეიცავს მოციქულთა საქმის აპოკრიფულ ვერსიას. იგი ი. ჯავახიშვილმა VI-VII საუკუნეებით დაათარიღა (ასევე ათარი-



ივანე ჯავახიშვილი

ღებდა ამ ხელნაწერს თ. ყორღანიაც).

VI-VII საუკუნეებით თარიღდება აგრეთვე ორი სხვა პალიმფსესტის თავდაპირველი ტექსტი, რომელიც ოთხთავს წარმოადგენს (A ფონდი, № 89 და № 844). პირველი მათგანი 904 გვერდს შეიცავს, მეორე — 510 გვერდს. ამ ორ პალიმფსესტს შორის მსგავსება ივანე ჯავახიშვილს მხედველობიდან არ გამოპარვია, შემდეგ კი ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკმა ლამარა ქაჩიამ დაადგინა, რომ თავდაპირველად ორივე ერთი წიგნის (ერთი ოთხთავის) ნაწილები ყოფილა. საუცხოოდ დამუშავებული ეტრატის დიდი ფორმატისაა და ტექსტი ზედ ორ სვეტად არის ნაწერი მსხვილი ასომთავრულით. ჩანს გადამწერი და ხელოვნებული კალიგრაფი ყოფილა.

შემდეგ, IX თუ X საუკუნეში (შესაძლოა უფრო გვიანაც), ეს წიგნი დაუხვევიათ, ფურცლებზე ძველი ნაწერი გულმოდგინედ გადაურეცხ-გადაუფხეკიათ, თითოეული ფურცელი ორად გაუქეციათ და ხელახლა გამოუყენებიათ საწერად ისე, რომ ახალი ნაწერი ძველის გარდიგარდმო არის მოქცეული.

როგორც ყორღანიასეული ხელნაწერი, ასევე ეს ორი პალიმფსესტიც (№89 და № 844) ერთ დროს თბილისის საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნოდა. სწორედ ამ მუზეუმიდან მომდინარე ხელნაწერები შედიან ამჟამად

ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში.

მეოთხე პალიმფსესტს, როგორც ვთქვით, ივანე ჯავახიშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში მიაკვლია. ამ მუზეუმისეული ხელნაწერები ამჟამად დაკულია. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში. აქვეა ხსენებული პალიმფსესტიც (H — 999). ივანე ჯავახიშვილი მას ასე ახასიათებს: „ხელნაწერში ამჟამად სულ 162 ფურცელია, რომელთაგან ბევრი დაზიანებულია და გაშავებულ-დაკრუნჩხული. თავიდან ბოლომდის მთელი ხელნაწერი სხვადასხვა დროის დამწერლობის ძეგლთაგან შედგენილი პალიმფსესტია: ზოგი ფურცლების თავდაპირველი ტექსტი ასომთავრულით არის ნაწერი, ზოგისა ნუსხა-

ხუცური. მარტო ასომთავრული პალიმფსესტებიც რომ ავიღოთ, აქაც სხვადასხვა დამწერლობასა და სხვადასხვა დროის ნაწყვეტებთანა გვაქვს საქმე“. ამ პალიმფსესტის რამდენიმე ფურცელზე თავდაპირველად დაბადების ქართული ტექსტი ყოფილა მოთავსებული, სხვებზე — ოთხთავისა, მერმინდელი ნაწერი კი დავითის ფსალმუნთა ტექსტს შეიცავს.

მთლიანად ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი პალიმფსესტების მოცულობა ორიათას გვერდს აჭარბებს. ამ უზარმაზარი მასალიდან მკვლევარმა სულ ასიოდე გვერდის ამოკითხვა შეძლო, მაგრამ ესეც საკმაო იყო ამ ხელნაწერთა უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის შესაფასებლად.

ამოკითხული ნაწყვეტები შეიცავდა დაბადების, სახარებისა და აპოკრიფული მოციქულთა საქმის ტექსტს, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სასულიერო ქრისტიანული მწერლობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები ქართველებს პირველად VII-VIII საუკუნეებში კი არ უთარგმნიათ, როგორც ზოგიერთ მეცნიერს ეგონა, არამედ VI საუკუნეშიც უკვე თარგმნილი ყოფილა და ზოგი მათგანი (კერძოდ — სახარება) V საუკუნეშიც უეჭველად თარგმნილი უნდა ყოფილიყო.

არ გამართლდა XI საუკუნის მწერლის ეფრემ მცირის ცნობა, თითქოს სასვენის ნიშნები ქართულში მას შემოეღოს. სასვენის ნიშნები უკვე VI-

VII საუკუნეებში ყოფილა ხმარებული.

სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა ქართული ენის ისტორიაში. სახელობრ, უძველესი სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა ზმნაში II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნებად **ხ** პრეფიქსი, რომელიც მანამდე მხოლოდ რამდენიმე ფორმაში იყო შენიშნული.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები ქართულ ზმნებში საგანგებოდ შეისწავლა აკაკი შანიძემ უძველესი პალიმფსესტების აღმოჩენამდე რამდენიმე წლით ადრე. მისი გამოკვლევა ამ საკითხზე იბეჭდებოდა 1917 წელს პეტერბურგში, მაგრამ რევოლუციის გამო ბეჭდვა

შეწყდა. ნაშრომი გამოიცა ქართულად თბილისში 1920 წელს. მის საფუძველზე თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1920 წლის 9 მაისს აკაკი შანიძეს ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ეს იყო თბილისის უნივერსიტეტში დატული პირველი დისერტაცია.

აკაკი შანიძემ დაადგინა, რომ ერთნაირ ფონეტიკურ პირობებში მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსებს ერთი და იგივე ბგერითი სახე აქვთ. ორ ზმნაში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად **ხ** გამოიყო (**ხ-არ**, (**მო**)-**ხ-ვალ**). მაშასადამე, წესის მიხედვით, **ხ** მესამე ობიექტური პირის ნიშანიც უნდა ყოფილიყო. მართლაც, შემდგომ


ში, უკვე ხსენებული გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ, ბოლნისისა და მცხეთის ძველ ქართულ წარწერებზე დაკვირვებისას აკაკი შანიძემ გამოავლინა რამდენიმე ფორმა, სადაც **ხ** ნახმარი იყო მესამე ობიექტური პირის ნიშნად (**შე-ხ-უბათ**, **შე-ხ-ეწიე**, **მე-ოხ-ხ-ეყავ**). მკვლევარს ამ ფორმების შესახებ 1921 წლის ოქტომბერში უკვე მზად ჰქონდა გამოკვლევა „ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა მცხეთის ჯვრის საყდრისა და ბოლნისის სიონის წარწერებში“, ხოლო 1922 წლის 23 მაისს მოხსენებაც წაკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე.

შემდეგ ზემოხსენებულ ფორმებს დაემატა კიდევ „ერთვის“ ზმნისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელწოდება **ხერთვისი**, სადაც **ხ** წარმოშობით ასევე მესამე ობიექტური პირის ნიშანია. ამრიგად, ნაპოვნი იყო ხუთი ზმნა, რომელთაც **ხ** პრეფიქსი მოეპოვებოდათ ხმოვნების წინ ერთ შემთხვევაში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად (**ხარ**), დანარჩენებში კი მესამე ობიექტური პირის ნიშნად (**ხერთვისი**, **ხეყავ**, **შეხეწიე**, **შეხუბათ**). ამ რამდენიმე ზმნის ჩვენების საფუძველზე მკვლევარმა გააკეთა მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ოდესღაც არსებულა დიალექტი, რომელსაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ხ** პრეფიქსი ახასიათებდაო. ა. შანიძის გამოკვლევა ამ საკითხზე გადაცემული იყო დასაბეჭდად უნივერსიტეტის მოამბის II ტომში, რომელიც 1922 წელს უნდა გამოსულიყო. მაგრამ სტამბის მიზეზით იგვიანებდა.

და აი, სწორედ ამ დროს ივანე ჯავახიშვილმა მიაკვლია უძველესი პალიმფსესტებს, სადაც **ხ** პრეფიქსის ხმარებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა (**ხგონებ**, **ხყოთ**, **ხემსგავსებით**, **ხისმინოთ**, **მიხიდე**, **მიხუემსგავსნეთ**, **ხრქუა**, **განხედოს**, **მოხაქციოს**, **ხუბრძანა** და ა. შ.). ამით ბრწყინვალედ დადასტურდა ა. შანიძის ვარაუდი. გამოირკვა, რომ **ხ** პრეფიქსი იხმარებოდა აგრეთვე ზედსართავ სახელთა უფრობითი ხარისხის ფორმებში (**ხუმჯობესი**, **ხუფროსი**, **ხუდიდესი** და სხვა).

ერთი სიტყვით, ახლად გამომზეურებულმა ტექსტებმა არსებითად შეცვალეს ძველი წარმოდგენები ქართული ენის, მწერლობის და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაზე.

სურათი 1



ორი აკიჭორი

მოგონება



ლევან გოთსია

ქართველმა ხალხმა არმაზის მიწას მიაბარა საყვარელი მწერალი, ქართული კულტურის მოამაგე, ჩვენი ბუნების მოუღლე ქომაგი, ახალგაზრდობის მრჩეველი და მეგობარი ლევან გოთსია.

„...ბავშვობიდანვე მიყვარდა კლდესთან ბრძოლა, საფეხურების ჭრა, თავქვეშ ბალიშის მაგიერ ქვის ამოღება და ფიქრი“, — წერდა იგი და ასეთად დარჩა სიცოცხლის დასასრულამდე. მისი საფიქრალი ყოველთვის სამშობლო იყო. სწორედ მამულის უსაზღვრო სიყვარულით არის შექმნილი „გმირთა ვარამი“, „მითრიდატე“, „მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებელი“, „უგუო ქარავანი“, „ქრწანისის სევდა“, „ყინვისის ანგელოზი“, „გარეჯულა“...

ჩვენს ტყეებს — „ერის მწვანე აბჯარს“ — მიუძღვნა მან შესანიშნავი თხზულებები — „ლეკვი ლომისა“ და „ნისლი ნახატარის ტყეში“.

განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი მასპინძლობდა ლევან გოთსია მოსწავლე ახალგაზრდებს, რომლებიც არმაზში ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე საყვარელ მწერალს. მოატარებდა ეზო-გარემოს, ხილითაც გაუმასპინძლდებოდა, შემდეგ „ასკიბურათი“ მტკვარზეც ჩაიყვანდა და იქ, ძეწნების ჩრდილში, ებასებოდა მათ.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხშირი სტუმარიც იყო, განუზომლად ახარებდა პატარებთან შეხვედრა.

ბოლო ათი წლის მანძილზე ბევრჯერ მიხედობდა მის გვერდით ყოფნა, მასთან ერთად მოვიარე გარეჯის ქვაბ-სენაკები, კლდეში ნაკვეთი ტაძრები თუ საქართველოს ძველი ციხე-ქალაქები.

გთავაზობთ იმ დროის ორ ეპიზოდს...

ეს იყო 1963 წელს. ბატონი ლევანი გეგეჭკორის მშრომელებმა მიიპატიჟეს.

დილის ათ საათზე მწერალი მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია. მეგზურობას უწევდა მუზეუმის დირექტორი გივი

ელიავა — რაიონის სიძველეთა ჭირისუფალი, საშვილიშვილო საქმის უანგარო მსახური. მოიარეს დარბაზები. ექსპონატების დათვალიერების შემდეგ საპატიო სტუმარი ერთ-ერთი ქანდაკების წინ შედგა. დიდხანს მისჩერებოდა მუქნაცრისფერ ტუფის ქვაში გამოკვეთილ, ტყვეობიდან თავდახსნილი, ამირანის საოცრად მეტყველ სახეს.

ბოლოს ავტორის ვინაობით დაინტერესდა.

— თვითნასწავლი მოქანდაკის, მუზეუმის „შვილობილის“ — ჯემალ ბჟალავას ნამუშევარია, — უთხრა გივი ელიავამ.

ნახვა ისურვა. დარბაზში ძალისძალად შემოიყვანეს ცხრამეტი წლის ჭაბუკი. ლევანმა ნახელავი შეუქო, წააქეზა:

— ყოჩაღ, შვილო! ისწავლე, შენ ნამდვილი ხელოვანი გახდები. ჩვენს დროს სწორედ რომ ახალთაობის ამირანები გეჭირდები.

უთხრა: თბილისში ჩამოდი, დაგეხმარებო.

მალე ჯემალი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. ერთ დღეს მე და იგი არმაზში ვეწვიეთ საყვარელ ადამიანს.

მადლობის ნიშნად, ჭაბუკმა მარმარილოში ნაკვეთი ზოსიმე ბერდიდის ბარელიეფი მიართვა...

დიდად გაიხარა ბატონმა ლევანმა. ნაჩუქარი ბუხრის თავზე შემოდო.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა, ზოსიმე კი დღესაც იმავე ადგილზე დგას — თეთრწვერა, ქვეყნის ჭირ-ვარამზე ღრმად დაფიქრებული, მისი ხვალისდელი დღის მოიმედე...

1971 წლის მაისის დამლევს ბატონმა ლევანმა შემომთავაზა — ერთხელ კიდევ მოვინახულოთ დიდგორის მიდა-

მოები. როგორც ყოველთვის, სიხარულით დავთანხმდი. დილაადრიან გავედით თბილისიდან. ჯერ მცხეთის სატყეოში შევიარეთ, სადაც სასხორელი ტარიელ ხიზანიშვილი შემოგვიერთდა. ტარიელმა ადგილობრივი ტოპონიმიკის ჩინებული ცოდნა გამოამჟღავნა.

ზემო ნიჩბისს გავცდით. ტყის გზა წვიმებს ჩაეხრამა. ჩვენი „გაზიკის“ მძლოლი ვასო ცხვადაძე ოსტატურად მიიკვლევდა გზას. მალე საირმოც უკან მოვიტოვეთ. უკვე ალპურ ზოლში ვართ. ქვევით, ნაქობრების ფრიადოდ ჩასხლეთილი კლდის ძირას, სიმწვანეში, ქვათახევის გუმბათი მოჩანს. მანქანიდან ხშირად გვიხდება გადმოსვლა, რადგან ახალ ნაწვიმარზე მანქანას ძლიერ უჭირდა სვლა. ბატონი ლევანი ყოველ გაჩერებასთან მთავორებისა და ხეების სახელებს აზუსტებდა.

— აბა, თუ შედავთ, რა მინიშნებული, ხატოვანი სახელები იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა: სანიავო, ქვათახევი, საკურთხისი, საირმო, კოშკისყელი... — ამბობს იგი და გადასავლის ზემოთ შემორჩენილ კოშკისყელის ციხის ნანგრევებზე გვითითებს.

ესეც დიდგორის ქედი! ქედის უმაღლეს წერტილზე, რომელიც ათას რვაას მეტრზეა ზღვის დონიდან, საკმაოდ მაღალი ყორღანია. მისი ხელოვნურობა ახლაც კარგად იგრძნობა. გადმოცემით, მტერზე დიდი გამარჯვების შემდეგ ამ ბორცვზე სამომ საფლავში ერთად დაუმარხავთ აქ დაღუპული დავითის მებრძოლი, ხოლო ლაშქარს სამარეზე მუჭამუჭა მიუყრია დიდგორის მიწა.

ღ ი მ

რაოდენი მოწიწება უნდა ჰქონოდა მწერალს დიდგორის ამბებისადმი, რომ ყოველი მტკაველი აქაური მიწისა, დიდგორზე გამავალი ყველა გზაწვრილი არაერთგზის ნაბიჯ-ნაბიჯ მოეხილა. მოველო, რათა შემდგომ დავიწყებინათვის გამოუტაცა ჯერაც უთქმელი ბევრი რამ, რაც დიდგორზე დატრიალებულ ამბებს შეეხება!

...აგვისტოს თორმეტს მოვიდის (მტრის ლაშქარი) თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდის ამათ ადგილთა“... — დადადებს ქართლის ცხოვრება.

სამი დღე გრძელდებოდა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომელიც თხუთმეტ აგვისტოს ქართველი ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგინდა...

...მზე კარგა ხანია გადაიწვირა. ხეობის ვიწროებში ფეხაკრეფით მოიპარებოდა ნისლი. მწერალი კი იჯდა ლოდზე და წერდა. ქარი უწეწავდა ლომის ფაფარივით აშლილ თმებს. ფიქრებში ჩაფლული, კვლავ წერდა თავდავიწყებით.

უკვე ბინდი ჩამოწვა, როცა ბატონმა ლევანმა წერა დაამთავრა. მხოლოდ ახლა მოგვაგონდა, რომ დილიდან ლუკმა არავის გაგვეტება.

— აბა, ბიჭებო, მანქანიდან ხურჯინი გადმოიღეთ, სუფრა გავშალოთ, — თქვა და მწვანეზე ჩაიშობლა.

ხორაგი ახლაც მის საყვარელ თეთრ ხურჯინში ეწყო. ეს ხურჯინი ახმეტაში არუქეს რამდენიმე წლის წინათ და მას შემდეგ არ იშორებდა.

— ეს დიდგორის ვაჟკაცებს გაუმარჯოს! — ასწია პირველი სასმისი მან..

ჯეზბარ ჯიჰარიანი.



არა ვჩანვარ,
არა, არა, —
ისე დავეჭრი
მთად და ბარად
მინდვრის
ტურფა დედოფლების
საალერსოდ.
გასახარად.
დავეჭირქილებ
წარამარა

ბაღჩა-ბაღჩა, ბარი-ბარად.
ყველას
ყურში
ჩაგურჩულებ,
რაც მთამ
ბართან დამაბარა.
არა ვჩანვარ?
როგორ არა!
ბალი მღერის! —
არა კმარა?



ხეივანი

ჩუხჩუხას და რაკრაკასა,
ტყე მასწავლის ლაპარაკსა.
ყველას ჩემსკენ ერქარება
დიდსაცა და

პატარასაც;
იჩოქებენ,
დამლოცავენ
ციცცივას და კამკამასა.



მათრობეჯა-ბიუჯა

ამოიწვირა თუ არა
პურის ყანაში ბრუალა,
თავი ასწია, ღეროებს
შემოეხვია ხვიარად.
შავი მარცვალი დაისხა —
მავნე,
ვარგისი კი არა.
ყანას დაჩნდა ჭრილობა, —

მოურჩენელი იარა.
მაგრამ რა ბედზე,
რა ბედზე
ყმაწვილმა ჩამოიარა!
დაიკაპიწა მკლავები,
ნამგალი დაატრიალა, —
სული მოითქვა ყანაში,
ფოთლები შეაშრილა.



სველაზა ბრძელი რომანი

იაპონელმა მწერალმა კიუნგ-ტე ბაკინმა სახელი დაიშვილა, როგორც სველაზე გრძელი რომანის ავტორმა. იგი 40 წლის მანძილზე (1852-1892 წ.წ.) წერდა 106-ტომიან რომანს. თითოეული ტომი ათას გვერდს შეიცავს, ყოველ გვერდზე 80 სტრიქონია, ასე რომ, მთელ რომანში 8 მილიონ 180 ათასი სტრიქონია.

თუ სტრიქონში საშუალოდ ათ სიტყვას ვიანგარიშებთ. ამ რომანის მკითხველს 88 მილიონი სიტყვის წაითხვა მოუწევს. თითოეული ტომი 80 კილოგრამს ანუ სამნახევარ ფუტს იწონის.

ანისბარბს მძვარსასრუტად ზამოიხანეზად

ავსტრალიაში იხილავენ ორიგინალურ პროექტს. თუ ამ პროექტს დაამტკიცებენ, ზოგიერთი სწავლულის აზრით, სანაპირო ქალაქები გაიწმინდება ფაბრიკა-ქარხნების კვამლისა და მტკრისაგან. პროექტით გათვალისწინებულია ანტარქტიკის წყლებიდან ავსტრალიის სანაპიროსთან უზარმაზარი აისბერგის მოცურება. ყინულის მთამ უნდა გამოიწვიოს კონტინენტიდან თბილი მტვრიანი ჰაერის მუდმივი ქროლა ზღვისაკენ.

ბალიზის კოლექციონერი

მაგლობელ ფრინველთა მოყვარული ცოტა როდი მოიძებნება. მაგრამ, თურმე, ფრინველთა გალიების მოყვარულნიც

არსებობენ, ოღონდ-ცარიელი გალიებისა. ერთ-ერთმა კოლექციონერმა, ფრანგმა ინჟინერმა უან ლაბონმა მსოფლიოს ყველა კუთხეში დამზადებული უნიკალური გალიების ხუთასი ეგზემპლარი მოაგროვა. მათი უმეტესობა სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ ნაგებობათა მოდელს წარმოადგენს. სამ საერთაშორისო გამოფენაზე ლაბონმა პირველი ადგილი მოიპოვა.

ფინიან ლომი შააზინა

სან-ფრანცისკოს ზოოლოგიურ ბაღში უჩვეულო სასაცილო ამბავი მოხდა: ბაღის ერთ-ერთი მოსამსახურე იძულებული გახდა მიშველებოდა ლომს, რომელსაც პაწაწინა ფინია (პუდელი) უტეჭდა. თურმე, ნუ იტყვით, ლომისებურად შეკრეპილი ფინია უდაბნოს მეფეს შევარდნა გალიაში და რამდენჯერმე უქებნია. ფინიის პატრონი



ირაკლი უგულავა ათასი აზვანი

„ათასჯერ ვიყავ შენთან“, „ათასი საქმე მაქვს“, „ათასჯერ გითხარი“ — ხშირად იცის ხოლმე თქმა ქართველმა კაცმა. განა მართლა ათასჯერ იყო? ან ათასი საქმე ჰქონდა? არა. სულ ორიოდჯერ იყო და ამდენივე საქმე ჰქონდა. მაგრამ ხაზგასასმელად ამბობს ასე. ამიტომ ამ წიგნსაც „ათასი აზვანი“ დაარქვა ურუნალიტმა ირაკლი უგულავამ. წიგნში ბევრი საინტერესო რამ არის მოთხრობილი. ცოცხლად არის გადმოცემული ოცდაათიანი წლების თბილისელი მოსწავლის ფიქრი და განცდა, დიდი ადგილი აქვს დამოზიადი სპორტულ და თეატრალურ თემატიკაზე აგებულ მოგონებებს.

ვიკინსლავ სტოროშენაო ასჯერ გაუმოხ


წიგნი თქვენთვის უცნობ დარგზე, ეკონომიკაზეა დაწერილი.

გსურთ ვინმეს ეკონომისტობა? ცხადია, უმეტესობა კონსტრუქტორობაზე, ფიზიკოსობაზე თუ გეოლოგობაზე ოცნებობთ, მაგრამ ყოველმა თქვენგანმა უნდა იცოდეს, თუ ეკონომიკა არ ეცოდინება, შორს ვერ წავა, რადგან დღეს ეკონომიკური განათლება მარტო ეკონომისტებს როდი სჭირდებათ...

ეს პატარა წიგნი არც სახელმძღვანელოა, არც ამოცანათა კრებული. მისი მიზანია გაგაცნოთ, თუ რა ამოცანები აქვს გადასაწყვეტი ეკონომიკას და რა დაბრკოლებები ელოდება ეკონომისტს.

გაფურ გულიამი უჩაღანა

უზბეკეთის სახალხო პოეტის, აწ განსვენებული გაფურ გულიამის სახელი საქვეყნოდ არის ცნობილი. მის პოეზიას შეიძლება ვუწოდოთ უზბეკი ხალხის ისტორიის მხატვრული აღწერა. პოეტური კმნილებების გვერდით, გულიამი მოთხრობებსაც წერდა. ერთ-ერთი მოთხრობა — „უჩაღანა“ — ქართულად ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოვიდა. „უჩაღანაში“ აღწერილია რევოლუციამდელი შუა აზიის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, უზბეკი ბავშვების საქმიანობა. ამ წიგნის კითხვისას მის პატარა გმირთან ერთად მონაწილეობას მიიღებთ სხვადასხვა ამბებში, მოხვდებით ძალზე რთულ სიტუაციებში და ნახავთ, რა გონებაშახვილურ გადაწყვეტილებებს იღებს



თქვენი თანატოლი ურთულესი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. მოთხრობას თავიდან ბოლომდე გასდევს კეთილი იუმორი.

დააჩარიმეს. ის კი თავს იმართლებდა: რა ვქნა, ჩემს ძალს კონსურენტები არ უყვარსო...

თითო სულზე — ორი წიგნი

შარშან მთელ მსოფლიოში დაახლოებით 7,5 მილიარდი ცალი წიგნი და ბროშურა გამოიცა. დედამიწის მოსახლეობა ამჟამად 6,5 მილიარდს აღემატება. მაშასადამე, თითო სულზე შარშან მიიღო ორი ახალი ან ახალგაშობილი წიგნი. საბჭოთა კავშირში 1971 წელს გამოიცა 881 მილიონი ცალი წიგნი, ესე იგი ერთ სულზე 8-ზე მეტი.

წიგნი, რომელიც არ სველდება


ინგლისელმა ნატურალისტმა პიტერ სკოტმა დაამზადა მსოფლიოში პირველი, ჭრი-


ჭრილობით ერთადერთი, წყალგამძლე წიგნი. ეს წიგნი — „იქტიოლოგის ცნობარი“ — სპეციალურ პოლიეთილენის „ქაღალდზე“ დაიბეჭდება. იგი განკუთვნილია წყალქვეშა ცურვის მოყვარულთათვის. ისინი ამ წიგნს წაიკითხავენ წყლის სიღრმეში და მისი საშუალებით დააკვირდებიან სხვადასხვა სახეობის თევზებს.

უფავეტილი რაპეტიცია

დილადრიან ლონდონის პოლიციაში ვიღაცამ დარეკა. სულ მალე პოლიციელები შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ. მართლაც, ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც მათ ტელეფონით შეატყობინეს: უცნობი კაცი აჯურის სახლის მესამე სართულის კედელზე მიცოცავდა; ფანჯრამდე რომ მიადწია, მინაზე დააკაკუნა და უმაღვე ძირს დაეშვა. ბოროტგანმზრახველი იქვე დააკავს. იგი აღმოჩნდა მთამსვლელი ბ. მორისონი, რომ-

მელიც ჰიმალაიზე ასასვლელად ემზადებოდა. ის ფანჯარაც მისი ოთახისა იყო; მინაზე რომ დააკაკუნა, ამით ცოდს ამცნო: წერტნას უკვე მოვრჩი. შეგიძლია სუფრა გაშალო — ვისაუზმოთო.





ჭრე-ქერე

გაკვეთილი მორე

ღამის პერანგის შეკერვა

ნახაზის აღება

ნახაზის ასაგებად საქირთა შემდეგი ზომები:

1. ყელის ნახევარგარშემოწერილობა 16,5 სმ.
2. მკერდის ნახევარგარშემოწერილობა 10 სმ.
3. წელის სიგრძე 34 სმ.
4. პერანგის სიგრძე 86 სმ.
5. სახელოს სიგრძე კისრიდან 27 სმ.

ნახაზი შეადგინეთ დიდ კალაღზე, რომ მისგან მერე თარგი გამოსჭრათ.

გავლეთ პერანგის სიგრძის ხაზი A და N, რომელიც უდრის 86 სმ. A წერტილიდან უნდა გავლოთ ილიის ხაზი, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: მკერდის გარშემოწერილობის ზომა გაუვიცი 3-ზე, მიუმატეთ 5 სმ, რაც უდრის:

$$\frac{\text{მკ. გარშ.}}{3} + 5 = \frac{40}{3} + 5 = 18,8 \text{ სმ. ამიტომ A წერტილიდან ჩამოვლოთ } 18,8 \text{ სმ და აღნიშნეთ } \Gamma \text{ წერტილი. A წერტილიდან ქვემოთ გადავლოთ წელის სი-}$$

გრძე 34 სმ და აღნიშნეთ T წერტილი.

AGT წერტილებიდან მარცხნივ გავვლეთ ნებისმიერი თარაზული ხაზები. პერანგის სიგანეს აიღებთ მოცემული ზომების 4 სმ-ით მეტს, ხოლო პერანგის ბოლოს 15 სმ-ით მეტს.

Γ და T წერტილებიდან მარცხნივ გადავლოთ $\frac{1}{2}$ მკერდის გარშემოწერილობა + 4 სმ.


$\frac{1}{2}$ მკ. გარშ. + 4 სმ = $\frac{40}{2} + 4 = 24$ სმ. და აღნიშნეთ Γ_1 T₁ წერტილები. N წერტილიდან მარცხნივ ქობის ბოლოს გადავლოთ 24 + 15 = 39 სმ და აღნიშნეთ N₁ წერტილი. Γ_1 T₁ და N₁ წერტილები შეაერთეთ.

ამის შემდეგ უნდა მოხსოთ კისრისა და ყელის ხაზები. ამისათვის A წერტილიდან მარცხნივ გადავლოთ ყელის გარშემოწერილობის $\frac{1}{3}$ და მიუმატეთ 0,5 სმ.

$$\frac{1}{3} \text{ ყელის გარშ.} + 0,5 = \frac{16,5}{3} + 0,5 = 6 \text{ სმ. და აღნიშნეთ P ასოთი. P დან ზემოთ მართი კუთხით ავლოთ } 2 \text{ სმ და აღნიშნეთ } P_1 \text{ ასოთი, A და } P_1 \text{ წერტილები შეაერთეთ რკალისებური ხაზით და მიიღებთ კისრის ამოჭრილობას. ყელის ამოჭრილობა რომ მიიღოთ, A წერტილიდან ქვემოთ უნდა გადავლოთ მკერდის გარშემოწერილობის } \frac{1}{3}, \text{ მიუმატოთ } 1 \text{ სმ. რაც უდრის:}$$


$\frac{1}{3}$ მკ. გარშ. + 1 სმ = $\frac{40}{3} + 1 = 14,8$ სმ. და აღნიშნეთ P₁ წერტილი, რომელსაც შეაერთებთ P₁ წერტილიდან. P₁ წერტილიდან გადავლოთ სახელოს სიგრძე 27 სმ და აღნიშნეთ D წერტილი. D წერტილიდან დაუშვით შეუღლი ხაზი Γ_2 -ის გადაკვეთამდე. ილიის ხაზი რომ მიიღოთ Γ_1 ხაზიდან გავვლეთ ბისექტრისა 4 სმ და

აღნიშნეთ Γ_3 წერტილი. Γ_2 Γ_3 და T წერტილები შეაერთეთ რკალისებური ხაზით. N₁ წერტილიდან ზემოთ გადავლოთ 2 სმ და აღნიშნეთ N₂ წერტილი, N და N₂ წერტილები შეაერთეთ მდორე ჩაზნექილი ხაზით (ნახ. №1).



პერანგის შეკერვა

ღამის პერანგის შესაკერად უნდა შეარჩიოთ არა ნაკლებ 75 სმ სიგანის ქსოვილი, მის სიგრძეს უნდა მიუმატოთ 10-15 სმ. ამისათვის ქსოვილი უკუღმა პირიდან ორად უნდა მოკეცოთ სიგრძეზე. გაშლილი თარგი ქსოვილზე უნდა დადოთ ისე, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე (№ 2).



ნახ. 2.

პერანგის გვერდები შეკერეთ ორმაგი ნაკერით. საყე-

ლოს შემოავლეთ [წესი ხმის] ნის ირიბი ნაჭერით [წესი ხმის] პირები ფაქიზად ამოუხვიეთ ხელით.

სასურველია თუ პერანგს არშიებითა და ქარგულობით გააღამაზებთ. პერანგის ბოლოს უნდა გადაუტუნოთ დაახლოებით 3 სმ სიგანის ქობა. პერანგის კერვის დროს საკერავ მანქანაზე გამოიყენეთ წმინდა ნემსი და 50 ან 60 ნომერი კოქის ძაღვი.

ნანა ჯანდარაღი.

გაკვეთილი მორე

თვლების მატება

თვლების მატების რამდენიმე ხერხი არსებობს, ჩვენ გავეცნობით ერთ-ერთ მათგანს.

პირველი ხერხი: გამოქსოვით ერთი თვალი, მარჯვენა ჩხირის წვერი მოსდეთ საჩვენებელ თითზე დახვეულ ძაფს და, ამგვარად, მარჯვენა ჩხირზე მიიღებთ ნამატს. მერე ჩვეულებრივად გამოქსოვთ მომდევნო მეორე თვალს (ნახ. № 1).



ნახ. 1.

მეორე მხრიდან ნამატს გამოქსოვთ უკუღმა ქსოვით. მიიღებთ ნასკრეტს და წარმოქმნება ახალი თვალი. თვლების მატების ამ ხერხს უმთავრესად იყენებენ აფურული ნაყების ქსოვისას (ნახ. № 2).



ნახ. 2.

ნამატი თვალის გამოქსოვა თვალის გადაგრებიცაა შეიძლება. ამ დროს ნამატის ადგილას არავითარი ნასკრეტი არ დარჩება.

მატება აგრეთვე შეიძლება შიგ თვალშიც. თვალში თვალს გამოიღებთ ჩვეულებრივი ქსოვით შეგინდნ. ნამატ თვალს კი ამავე თვალში გამოქსოვთ გარედან ისე, რომ ერთ თვალში გამოქსოვილ ორ თვალს მიიღებთ. მატების დროს თვალის გადაგრებით ნამატი თვალის გამოქსოვა ისე უნდა მოხდეს, რომ ნამატ ადგილზე არავითარი ნასვრეტი არ დარჩეს.


თვლების კლება

თვლების კლება შეიძლება წალმა და უკულმა. წალმა თვლების კლების დროს ორ თვალს წალმა გამოქსოვთ ერთ თვალად (ნახ. № 3).



ნახ. 3.

უკულმა კლების დროს კი ორ თვალს უკულმა გამოქსოვთ ერთ თვალად (ნახ. № 4).



ნახ. 4.

რეზინი 1x1

I რიგი — ერთი თვალის წალმა, ერთი უკულმა და ა. შ. რიგის ბოლომდე.

II რიგი — როგორც თვლები გვიჩვენებს, ე. ი. წალმაზე წალმა, უკულმა თვლები კი უკულმა.

III რიგი — როგორც პირველი და ა. შ.


გაკვეთილი მესამე

თვლების დამაბრება

დასრულებული სამუშაო საბოლოოდ რომ გამოიღოთ ჩხირებიდან, ამისათვის თვლები უნდა დამაბრდეს. ეს შემდეგნაირად ხდება:

პირველ თვალს, ესე იგი ნაწიბურის თვალს, გამოიღებთ მარჯვენა ჩხირზე მოუქსოვლად. ხოლო მეორე მომდევნო

თვალს გამოქსოვთ წალმა, ამ დროს მარჯვენა ჩხირზე მიიღებთ ორ თვალს (ერთი ნაწიბურის თვალისა, მეორე კი — ძირითადი); შემდეგ მარცხენა ჩხირის წვერი გაუყარეთ ნაწიბურის თვალში და ოდნავ გაკიმეთ. მარჯვენა ჩხირზე გამოქსოვილი ძირითადი თვალის გაატარეთ ნაწიბურის თვალში. მიიღებთ ერთ თვალს. შემდეგ ისევ გამოქსოვთ წალმა თვალს და გაატარეთ ნაწიბურში. ასე მოქცევით, სანამ არ დაგრჩებთ ერთი საბოლოო თვალს, რომელსაც უახინალით გამოქსოვთ და უკანა მხრიდან დაამაგრებთ (ნახ. № 1).



ნახ. 1.

აუშრული მსოვა

I რიგი — ორი თვალის ერთად, I ნამატი, ასე იქსოვება რიგის ბოლომდე.

II რიგი — ყველა თვალის მათ შორის ნამატიც, იქსოვება უკულმა.

III რიგი — ისე იქსოვება, როგორც I რიგი.

ბუკლე

I რიგი — ერთი წალმა, მეორე — უკულმა.

II რიგი — ერთი წალმა, ერთი უკულმა თვალის, ოდნავ, სადაც პირველ რიგზე უკულმა თვალისა, ის გამოიქსოვება წალმა, ხოლო სადაც წალმა თვალისა, ის უკულმა გამოიქსოვება.

III რიგი — როგორც I რიგი და ა. შ.

ჯვარადინი წინდისაგური მსოვა

I რიგი — იქსოვება წალმა. მაგრამ მარჯვენა ჩხირით პირველ თვალს კი არ იღებთ, როგორც ჩვეულებრივ, არამედ მეორეს, ესე იგი ჭერ მეორე თვალს გამოქსოვთ, შემდეგ პირველს.

II რიგი — ყველა თვალის იქსოვება უკულმა; ეს ორი რიგი მეორდება ბოლომდე.

მერი ტაბიძე.

კ რ მ ს მ რ დ ი


შვეულად: 1. მგალობელი ფრინველი; 2. სახელმწიფო აფრიკაში; 3. რიცხვი; 4. მდინარე ინდოეთში; 5. ფალი-აშვილის ოპერის პერსონაჟი; 6. სახელმწიფო ამერიკაში; 7. ქართველი მწერალი; 8. ინგლისელი მეცნიერი; 9. სახელმწიფო ევროპაში; 10. ქალაქი ჩილეში; 11. მდინარე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში; 12. გარეული ფრინველი; 13. მდინარე ევროპაში; 14. მდინარე საქართველოში; 15. ქართული პური; 16. ნახევარკუნძული საბჭოთა კავშირში.

თარბულად: 1. ნახევარკუნძული ევროპაში; 2. ქალაქი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; 3. დროის განმსაზღვრელი ხელსაწყო; 4. შინაური ფრინველი; 5.



მწერი; 6. მონასტერი აღმოსავლეთ საქართველოში; 7. ადგილი, ანუ?; 8. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცნობილი ფეხბურთელი; 10. სახელმწიფო აზიაში; 11. გეოგრაფიული ზონა სსრკ-ში; 12. ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მხარე, რომელიც 12 ქალაქს მოიცავს; 13. ქალაქი დალასის შტატში; 14. მთები სსრკ-ში; 15. მდინარე სსრკ-ში; 16. ქართველი მწერალი.

ლევან ნეფარიძე, ქიათურის მე-5 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.



პასუხი № 4-ში მოთავსებულ „სხრეკლივულზე“

კ რ მ ს მ რ დ ი

შვეულად: 1. ლენცი; 2. ისანი; 3. ბარი; 4. ირკო; 5. ნაირა; 6. ისკრა; 7. პეტრი; 8. ომსკი; 9. ვაცილოვი; 10. ბია; 11. არა; 12. ამაღლება; 13. მარო; 14. ბატი; 15. იელი; 16. იავა; 17. ობობა; 18. სიო; 19. ომი; 20. გოეთე; 21. ისტრი; 22. ატამი; 23. იარა; 24. მასა; 25. ირი-სი; 26. ამაღ.

თარბულად: 1. ლე-ბედევი; 2. ბალი; 3. ნი-

ორი; 6. ირანი; 8. ჰანოი; 9. ოსიკო; 11. ვოლტა; 12. ბრაზილია; 14. ავაზა; 16. მალი; 17. ბონი; 19. ის-ვი; 21. სირია; 22. ვაშლი; 23. ოქრო; 26. იოდი; 28. განა; 29. ირემი; 31. ოხ-რახუში; 32. ავარა; 33. ანოდი; 35. მორზე; 36. ილემი; 38. ამური; 39. აზია; 40. ირლანდია.

რობილი მოეგება

თეთრ წრეს მოერგება 11, 3, 5, 6, 10, 12 ბურ-თები.



ქვეყნის

ამკრძალავი ნიშნები

ამკრძალავი ნიშნები უკრძალავს მძღოლს გარკვეული მოქმედების შესრულებას. ისინი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია რაიმე შეზღუდვა, რომელიც გაუთვალისწინებელია მოძრაობის საერთო წესებში და ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

ამკრძალავი ნიშნები იდგმება (იკი-

დგება) იმ ადგილას, საიდანაც იწყება აკრძალული ზონა ან შეზღუდვა. აკრძალვის ან შეზღუდვის ზონა იწყება ნიშნების დაყენების ადგილიდან და ვრცელდება ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულებით.

აკრძალვის საერთო ნიშანია წითელარშიანი ან წითელფონიანი წრე, გარდა 2. 15 ნიშნისა, რომელსაც რვაკუთხედის ფორმა აქვს.

* გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2, 3, 4.

2.4. აკრძალულია მოძრაობა სატვირთო ავტომობილებისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური წონა აღემატება 8,5 ტონას, აგრეთვე ტრაქტორების, სხვა თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმებისა. თუ ნიშანზე მითითებულია ტონაუის სიდიდე, მაშინ ნებადართულია მოძრაობა იმ სატვირთო ავტომობილებისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური წონა ნაკლებია ნიშანზე მითითებულზე.

იმავე ნიშნით ნებადართულია მოძრაობა სატვირთო ტაქსი-ავტომობილებისა.

2.15. აკრძალულია გაუჩერებლად გავლა „სდექ“ ხაზთან. ხოლო თუ ის არ არის — ნიშანთან. მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც გადამკვეთ გზაზე მოძრაობენ.

2.18. აკრძალულია ყველა სატრანსპორტო საშუალების გასწრება, გარდა საათში 30 კმ-ზე ნაკლები სიჩქარით მოძრაობის მრავალი ცალკეული მოძრაობისა და უეტლო

ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

ნონეშვილი ი. — სამაისო (ლექსი) გარეკ.	2	ეერიკ-რუმო პ. — თამაში (ლექსი. თარგმანი ტ. მე-ბურიშვილისა)	20
ტაბაღა ზ. — მარდისის მკვიდრნი (ფანტასტიკური მოთხრობა დასასრული)	1	საარი ო. — ზოლები (ლექსი. თარგმანი ტ. მეტუ-რიშვილისა)	20
ჭილაშვილი ქ. — მარშის გზებსა და ბილიკებზე (ნარკვევი)	8	პრომეტი ლ. — სასიყვარულო ბარათი (მოთხრობა. თარგმანი მ. ხერგიანისა)	22
გვაზავა-სანაძე ლ. — სამშობლოსათვის შეწირული სიჭაბუკე (ნარკვევი)	9	ჭუმბურიძე ზ. — გაუხუნარი ფურცლები (წერილი)	23
ჩვენთან სტუმრად არის ესტონეთის სსრ საყმაწვილო უურნალი „პიონერი“	12	ჭიშკარიანი ჯ. — (მოგონება)	28
ლიანაშიაგი მ. — სამშობლო (ლექსი. თარგმანი ს. შამფრიანისა)	12	ჯადოსნური სარკე	29
პუკი ხ. — მწყემსის ჩანთა (მოთხრობა. თარგმანი ს. ბეჩოელისა)	12	გამოგადგები	30
	12	ახალი წიგნები	29
	12	ცხრაკლიტული	31
	12	გავაშელი ვ. — მე, ქუჩა და ავტომობილი (წერილი)	32

გარეკანის 1-გვერდის მხატვრობა — ზურაბ ფორჩხიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.
 სარედაქციო კოლეგია: შოთა ბაბუღია, ნოდარ გუჩუბანიძე, შოთა დვდარიანი, სერგო კლიაშვილი, გუჩუბანიძე, ზურაბ ლეშაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ ხაზინაძე, ბიორჯ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-06 93-53-05 განყოფილებების—83-87-02 93-97-01

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაცემა ასაწყობად 16/III-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IV-73 წ. ქალაქის ფორმატი 60x90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საბარათის-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეჯ. № 910. ტირ. 135.000. უფ. 01865.

ფაბი 20 კაბიე

ორთვლიანი მოტოციკლებისა და ველოსიპედებისა.

2.19. სატვირთო ავტომობილებს, რომელთა ნებადართული მაქსიმალური წონა აღემატება 3,5 ტონას, ეკრძალებათ ყველა სატრანსპორტო საშუალების გასწვრება, გარდა ცალკეული 30 კმ/სთ-ზე ნაკლები სიჩქარით მოძრავი ტრანსპორტის, უეტლო ორთვლიანი მოტოციკლებისა და ველოსიპედებისა.

2.21. როგორც გამონაკლისი, ხმავანი სიგნალის მიცემა ნებადართულია მხოლოდ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

27. 2. 1.2. 3 და 2.22. ნიშნების მოქმედება არ ვრცელდება საერთო სარგებლობის სატრანსპორტო სა-

შუალებებზე, რომლებიც დადგენილი მარშრუტით მოძრაობენ.

28. ამკრძალავი ნიშნები იდგმება უშუალოდ გზის იმ უბნების ან ადგილების წინ, რომლებზეც შემოღებულია სათანადო შეზღუდვა, ან მათგან 5. 2 ა. დაფაზე მითითებულ მანძილზე. გზებზე დასახლებული პუნქტების გარეთ 2. 15 ნიშანს აუცილებლად წინ უძღვის ნიშანი 1.6 — 5.2 ბ. დაფით.

29. ამკრძალავი ნიშნების მოქმედება ვრცელდება:

2. 16 (ა, ბ) — უშუალოდ სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომელთა წინ დადგმულია ნიშანი.

2. 18. — 2. 23 — უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო თუ ის არ არის. — დასახლებული პუნქტის ბო-

ლომდე; ამ ნიშნების მოქმედების ზონა შეიძლება შემცირდეს 5. 19 და 5. 20 ნიშნების გამოყენებით, ხოლო 2. 21 ნიშნებისა — 2.25 (ა, ბ, გ) ნიშნების დადგმით. 2. 22 და 2. 23 ნიშნების მოქმედების ზონა შეიძლება შემცირდეს 5. 3 (დ, ე) დაფების გამოყენებით.

ნიშნები 2. 22 და 2. 23 მოქმედებენ გზის მხოლოდ იმ მხარეს, რომელზეც ისინი დადგმულია.

2. 25. დ. ნიშანი აუქმებს 2. 18—2. 23 ნიშნებით შემოტანილ ყველა შეზღუდვას.

შაშა ბაგაშვილი,
თბილისის ავტონსპექციის ინსპექტორი.

ა მ კ რ ძ ა ლ ა ვ ი ნ ი შ ნ ე ბ ი



2.1
შესვლა აკრძალულია



2.2
მოძრაობა აკრძალულია



2.3
ავტომობილის მოძრაობა აკრძალულია



2.4
სატვირთო მოძრაობა აკრძალულია



2.5
მოტოციკლის მოძრაობა აკრძალულია



2.6
საჭაპანო მოძრაობა აკრძალულია



2.7
ტრაქტორების მოძრაობა აკრძალულია



2.8
მისაბმელით მოძრაობა აკრძალულია



2.9
ველოსიპედით მოძრაობა აკრძალულია



2.10
ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა აკრძალულია



2.11
წონის შეზღუდვა



2.12
ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა



2.13
გაბარიტულ სიმაღლის შეზღუდვა



2.14
გაბარიტული სიგანის შეზღუდვა



2.15
გაუჩერებლად გავლა აკრძალულია



2.16 a
მარცხნივ მოხვევა აკრძალულია



2.16 b
მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია



2.17
მოზრუნება აკრძალულია



2.18
გასწვრება აკრძალულია



2.19
სატვირთო ავტომობილების გასწვრება აკრძალულია



2.20
სიჩქარის შეზღუდვა



2.21
ხმოვანი სიგნალის მიცემა აკრძალულია



2.22
გაჩერება აკრძალულია



2.23
დგომა აკრძალულია



2.24
შემხვედრ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უპირატესობა



2.25 a
გასწვრების აკრძალვის დასასრული



2.25 b
სატვირთო ავტომობილებით გასწვრების აკრძალვის დასასრული



2.25 c
სიჩქარის შეზღუდვის დასასრული



2.25 d
ყველა შეზღუდვათა დასასრული



ტყისმჭრელები. იულა სავითსი. III კლასი.

ფერმაში. მონიკა კენდრა. III კლასი



ქსტონელი ბავშვების ნახატები.